პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
ხუთშაბათი
23
ოქტომბერი
№ 249
(16375)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ომამავალი წლის მოსავალს — მტკიცე საფუძველი!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება 1976 წლის მოსავლისათვის საშემოდგომო და უფალდური კულტურების თესვის აგროტექნიკურ ვადებში ჩატარების უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა საშემოდგომო თავთავიანი კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკისა და მეთესლეობის გაუმჯობესებისათვის. ამის მეოხებით, მათი მოსავლიანობა ჰექტარზე 18,5 ცენტნერიდან (საშუალო მაჩვენებელი მერვე ხუთწლედში) გაიზარდა 18 ცენტნერამდე (მეცხრე ხუთწლედის ოთხი წლის საშუალო მაჩვენებელი). კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს მოწინავე პურისმთესველმა რაიონებმა. მაგალითად, წითელწყაროს რაიონში საშემოდგომო თავთავიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე მეცხრე ხუთწლედში შეადგინა 25,7 ცენტნერი, მარნეულის რაიონში — 25 ცენტნერი, სიღნაღის რაიონში — 22,5 ცენტნერი, გურჯაანის რაიონში — 20 ცენტნერი.

ამასთან, მთელ რიგ რაიონებში იმის გამო, რომ უხეშად არღვევენ აგროტექნიკის, თესლის მომზადების წესებს, მათი თესვის ვადებსა და ნორმებს, ეფექტიანად არ იყენებენ მინერალურ სასუქებს, წლითიწლობით საშემოდგომო კულტურების მცირე მოსავალს იღებენ. 1971-1974 წლებში თეთრი წყაროს რაიონის მეურნეობებმა საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 11,2 ცენტნერი, დმანისის რაიონის მეურნეობებმა — 10,9 ცენტნერი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებმა — 11,3 ცენტნერი მარცვლეული. წინასწარი მონაცემებით, წელსაც ამ რაიონებში საშემოდგომო კულტურების მოსავლიანობა ჰექტარზე გაცილებით მცირე იქნება, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში.

საშემოდგომო პურეულის წარმოებაში ჩამორჩენილი რაიონების პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს სათანადო დასკვნები არ გამოუტანიათ წარსული წლების გაკვეთილებიდან და ჯერ კიდევ არასერიოზულად, უყაირათოდ ეკიდებიან საშემოდგომო კულტურების თესლის მომზადებას, ნიადაგის ხვნას, მინერალური სასუქების გამოყენებასა და აგროვადებში თესვის ჩატარებას.

ცალკეულ რაიონებში ცუდად არის საშემოდგომო კულტურების თესლის მომზადების საქმე. იმის მიუხედავად, რომ რესპუბლიკაში მომზადებულია საშემოდგომო კულტურების პირველი და მეორე კლასის 50 ათასი ტონა თესლი, რაც მოთხოვნილების 112,5 პროცენტს შეადგენს, ახალქალაქის რაიონის მეურნეობები კონდიციური თესლით მხოლოდ 90,8 პროცენტით არიან უზრუნველყოფილი, თელავისა — 78,7 პროცენტით, თიანეთისა — 82 პროცენტით, სამტრედიისა — 43,3 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა — 84,5 პროცენტით.

1975 წლის 6 ოქტომბრისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1976 წლის მოსავლისათვის საშემოდგომო კულტურების დასათესად მოხნული იყო 144,1 ათასი ჰექტარი გეგმით გათვალისწინებული 169,8 ათასი ჰექტარის ნაცვლად, ანუ 84,8 პროცენტი. ნიადაგის მომზადებაში ჩამორჩნენ ახალციხის, ადიგენის, ხაშურის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხისა და გარდაბნის რაიონების მეურნეობები. ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარსუბნის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. გოგოლაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ტ. ჯაგახიშვილი) ამ დღისათვის საშემოდგომო კულტურების დასათესად მომზადებული არ იყო 643 ჰექტარი, თელავის რაიონის სოფელ ფშაველის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნ. ზატიაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი რ. შთირიშვილი) — 370 ჰექტარი, თელავის ეთერზეთოვან საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი გ. დათუნაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი მ. აივაზოვი) — 440 ჰექტარი, გარდაბნის რაიონის ნაზარლის მებოსტნეობა-მერქვიერის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ვ. გაზაევი, პარტორგანიზაციის მდივანი მ. ალიევი) — 360 ჰექტარი.

მეურნეობებს ორგანიზებულად ვერ ამარაგებენ მინერალური სასუქებით. „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკურმა გაერთიანებამ მიმდინარე წლის 9 თვეში ფოსფორიანი სასუქების შემოზიდვის გეგმა შეასრულა 88,3 პროცენტით. „საქსოფლტექნიკის“ ბაზებიდან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებმა ჯერ გაიტანეს 214 ტონა ფოსფორიანი სასუქები, ლაგოდეხის რაიონისამ — 566 ტონა, საგარეჯოსამ — 673 ტონა, ხაშურისამ — 987 ტონა, ახალქალაქისამ — 208 ტონა ეს სასუქი.

მიმდინარე წლის 6 ოქტომბრისათვის რესპუბლიკის მეურნეობებში საშემოდგომო კულტურები დათესეს სულ 36,2 ათას ჰექტარზე, რაც გეგმის 21 პროცენტს შეადგენს და 14 ათასი ჰექტარით ნაკლებია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ახალქალაქის რაიონში საშემოდგომო თესვის აგროვადები ჯერ კიდევ 15 სექტემბერს გავიდა, რაიონში 6 ოქტომბრისათვის საშემოდგომო კულტურები დათესილი არ იყო 349 ჰექტარზე. ახალქალაქის რაიონის სოფელ დილისკის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. გრიგორიანი, პარტორგანიზაციის მდივანი — ნ. მოსოიანი) საშემოდგომო კულტურები დათესილი არ იყო 177 ჰექტარზე, თიანეთის რაიონის ერწოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ტ. ნადიბაიძე, პარტორგანიზაციის მდივანი — მ. ბუჯიაშვილი) — 550 ჰექტარზე.

აღინიშნა, რომ ნელა მიმდინარეობს შუალედური კულტურების თესვა ქარელის, გურჯაანის, ახმეტის, ლაგოდეხის, მცხეთის, სამტრედიის წულუკიძისა და სხვა რაიონების მეურნეობებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რომლებმაც გაითვალისწინეს რესპუბლიკაში მარცვლეულის წარმოებისა და დამზადების გაზრდილი დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, აგრეთვე მეათე ხუთწლედის პირველ წელს საშემოდგომო თავთავიანი კულტურების უზვი მოსავლის მიღებისათვის მტკიცე საფუძვლის შექმნის საჭიროება, დაავალეს:

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს ალმასკომს, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების ალმასკომებს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკურ გაერთიანებას, ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა რაც შეიძლება მალე დაამთავრონ საშემოდგომო ნათესებისათვის ნიადაგის მომზადებისა და შემჭიდროებულ აგროტექნიკურ ვადებში თესვის ჩატარების გეგმების შესრულების სამუშაოები.

ამისათვის საჭიროა თვითეულმა მეურნეობამ უთუოდ შეასრულოს საშემოდგომო კულტურების წინამორბედთა მოსავლის აღების გეგმა-გრაფიკები;

თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და სახელმწიფო მეურნეობაში შეამოწმონ, თუ რამდენად არის მზად ნიადაგის დასამუშავებელი და სათესი ტექნიკა, დაიკმაყოფილონ მექანიზატორთა ჭეშმარიტი საჭიროებანი, ადეკვატური კადრებით და უზრუნველყონ შეუფერხებელი ორცვლიანი მუშაობა. ამასთან საჭიროა:

მტკიცე კონტროლი გაუწიონ ნიადაგის მომზადების ხარისხს, მიმართონ ქმედითი ღონისძიებებს მეურნეობების მინერალური სასუქებით უზრუნველყოფისათვის და თვალყური ადევნონ, რომ სწორად გამოიყენონ ისინი აგროქიმიური კარტოგრამების შესაბამისად;

შეუნელებელი კონტროლი დაუწესონ მეურნეობების უზრუნველყოფას მაღალი კონდიციის თესლით და არ დაუშვან დაბალი ხარისხის, შეუწამლავი თესლის თესვა;

საშემოდგომო კულტურების სათესლედ გამოიყენონ საუკეთესო მიწები და უზრუნველყონ დარაიონებული ჯიშის მაღალი რეპროდუქციის მქონე თესლის დროული თესვა.

საშემოდგომო მინდვრის სამუშაოების უკეთესი ორგანიზაციისა და კოორდინაციისათვის შექმნან ოპერატიული შტაბები რაისამეურნეოს ალმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებში;

გაშალონ მეურნეობების, ბრიგადების, განყოფილებებისა და რგოლების სოციალისტური შეჯიბრება ნიადაგის დამუშავებისა და საშემოდგომო თესვის ორგანიზებულად მოწყობისათვის.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა მიაღწიოს იმას, რომ შეასრულოს ნიადაგისა და საშემოდგომო თესვის მომზადების გეგმა-გრაფიკები, გაანახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ მეურნეობებში თესლის დამუშავება, მომწამვლელი შხამქიმიკატებით დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ფართოდ დანერგონ წარმოებაში პრეპარატი „ტური“. საჭიროა აგრეთვე მოაწყოს საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტიდან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის საშემოდგომო კულტურების ელიტისა და პირველი რეპროდუქციის 1.395 ტონა თესლის გამოყოფა ჯიშთმონაცვლეობისა და ჯიშთგანახლებისათვის. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია უმოკლეს ვადაში თვითეულ რაიონს. კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას გააცნოს შუალედური კულტურების თესვის გეგმები, გამოუყოს მეურნეობებს საჭირო რაოდენობის ზვრიის თესლი და უზრუნველყოს ამ მეურნეობათა მიერ დავალებების უთუო შესრულება.

რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ უნდა მოაწყოს საველე პირობებში ტექნიკის პროფილაქტიკური მომსახურება და რემონტი, უზრუნველყოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები რემონტისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებითა და კვანძებით.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და დამზადების სამინისტროს დაეკალათ უზრუნველყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ მათთვის სახელმწიფო რესურსებიდან გამოყოფილი საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესლის ათვისება მარაგის შევსებისა და ჯიშთმონაცვლეობისათვის.

სახალხო კონტროლის კომიტეტმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს თესლის ინსპექციათა სამმართველომ უნდა განახორციელონ ქმედითი კონტროლი, რათა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში საშემოდგომო თესვა მოეწყოს აგროტექნიკურ ვადებში, ამასთან მკაცრად დაიცვან დადგენილი ნორმები და დასათესი თესლის კონდიცირება. დარღვევის გამოვლინებული ფაქტები დაუყოვნებლივ აცნობონ ადგილობრივ პარტიულ და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს. საქართველოს კომპარტიის სოფლის, ქალაქი, რაიონული კომიტეტები ვალდებულნი არიან განიხილონ შემოწმების მასალები, რათა დაუყოვნებლივ განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი 1976 წლის მოსავლის თავთავიანი კულტურების ხარისხიანი თესვის უზრუნველსაყოფად.

რესპუბლიკური გაზეთების რედაქციები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი ვალდებულნი არიან ფართოდ გააშუქონ რესპუბლიკაში საშემოდგომო და შუალედური კულტურების თესვის მიმდინარეობა. (საქინფორმი).

ათი თვის გეგმა — ვადამდე

საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დამამთავრებელი წლის — 1975 წლის პროგრამის ვადამდე შესრულებისათვის, ვადამდე — 22 ოქტომბერს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების ათი თვის გეგმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქალაქ თბილისის საწარმოების — გაერთიანება „ელექტროაპარატის“, „ელექტროხელსაწყოს“, „საქბოლიმერტარის“, „თბილღვინოს“, ტყავის, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატების, ორჯონიკიძის სახელობის, „ამირანის“, 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკების, № 1, 2 და 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკების, შამპანური ღვინოების ქარხნის, კონიაკის ქარხნის, ჩაის საწონი ფაბრიკის, ცხიმკომბინატის; ქალაქ რუსთავის საწარმოების — მეტალურგიული ქარხნის, ქიმიური ქარხნის, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის; ქალაქ ქუთაისის საწარმოების — ავეჯის ფაბრიკის, ბამბის საქსოვი საწარმოო გაერთიანების, მაუდის ფაბრიკის, კიროვის სახელობისა და „გელათის“, საწარმოო სამკერვალო გაერთიანებების, ლითოფონის ქარხნის, ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის; ქალაქ ბათუმის საწარმოების — სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის, მანქანათსამშენებლო ქარხნის, საწარმოო სამკერვალო გაერთიანების; ჭიათურის მანგანუმის ტრესტის; ქალაქ ზუგდიდის ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის; ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა. (საქინფორმი).

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ამხ. დ. ლაზარი

22 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. დ. ლაზარი, რომელიც ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ემყოფება საბჭოთა კავშირში.

საუბრის დროს, რომელმაც გულითად, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა ერთმანეთს გააცნეს, თუ როგორ მიმდინარეობს სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობა ორივე ქვეყანაში, განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების, საბჭოთა და უნგრელი ხალხების ძმური მეგობრობის განმტკიცების საკითხები. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ასრულებენ საბჭოთა ადამიანები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს და როგორ ემზადებიან სკკპ XXV ყრილობისათვის. თავის მხრივ ამხ. დ. ლაზარმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ წყვეტენ უნგრელი მშრომელები უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობაზე დასახულ ამოცანებს, როგორ მუშაობენ ქვეყნის მორიგი სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის.

საუბრის დროს განიხილეს აგრეთვე საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი აქტუალური პრობლემა, საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების, გაფართოებისა და გაღრმავებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ამოცანები. ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და დ. ლაზარმა აღნიშნეს, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირმა დასახა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების, დაძაბულობის შენელების პროცესისათვის შეუქცევადი ხასიათის მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოთა მოქმედების ახალი ეტაპი.

აზრთა გაზიარებამ კვლავ დაადასტურა სკკპ-ისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, ორი ქვეყნის მთავრობების შეხედულებათა სრული ერთიანობა ყველა განხილულ საკითხში. (საკონსა).

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲕᲔᲜᲔᲠᲐᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ

ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐ ᲕᲔᲜᲔᲠᲐᲡ ᲖᲔᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲔᲑᲐ

საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ ახალ შესანიშნავ წარმატებს მიაღწიეს პლანეტა ვენერას კვლევაში.

1975 წლის 22 ოქტომბერს საპლანეტთაშორისო ავტომატური სადგური „ვენერა-9“, რომელმაც 136 დღე-ღამეში 300 მილიონ კილომეტრზე მეტი მანძილი გაიარა, გაუვანილია ვენერის ირგვლივ ორბიტაზე და ისტორიაში პირველად პლანეტა ვენერას ხელოვნური თანამგზავრი გახდა.

სადგურის დასაშვები აპარატი რბილად დაჯდა ვენერას ზედაპირზე. ვენერას ატმოსფეროს პირობებში, სადაც წნევა 90-ჯერ აღემატება დედამიწისას და ტემპერატურა 485 გრადუსია ცელსიუსით, პირველად არის მიღებული დაჯდომის ადგილას პლანეტის ზედაპირის უნიკალური გამოსახულება.

საპლანეტთშორისო ტრაექტორიით ფრენის დროს „ვენერა-9“ ავტომატური სადგურიდან მოწყოლი კვანძის 90 სეანსი, რომელთა დროს მართავდნენ სადგურის ფრენას, აკონტროლებდნენ მისი საბორტო სისტემების მდგომარეობას, ზომავდნენ მოძრაობის ტრაექტორიის პარამეტრებს და მეცნიერულად იკვლევდნენ კოსმოსურ სივრცეში მიმდინარე ფიზიკურ პროცესებს.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოთ სადგურის გასვლა პლანეტისონგვლივ სივრცის განგარიშებულ წერტილში და შეექმნათ დასაშვები აპარატის გამოყოფისა და ვენერას ატმოსფეროში შესვლის საჭირო პირობები, მოეწყო სადგურის ფრენის ტრაექტორიის ორი კორექცია.

ორი დღით ადრე, სანამ ვენერას ატმოსფეროში შეგვდოდა, 20 ოქტომბერს ავტომატურ სადგურს გამოეყო დასაშვები აპარატი. 22 ოქტომბერს დასაშვები აპარატის გამოყოფის შემდეგ „ვენერა-9“ სადგური გადაიყვანეს ვენერას ხელოვნური თანამგზავრის ელიფსურ ორბიტაზე, რომლის მინიმალური სიმაღლე პლანეტის ზედაპირიდან დაახლოებით 1500 კილომეტრია და მიმოქცევის პერიოდი — თითქმის ორი დღე-ღამე.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განკუთვნილია იმისათვის, რომ გამოიკვლიოს ატმოსფეროს ქიმიური შედგენილობა და ფიზიკური მახასიათებლები და ღრუბლების სტრუქტურა, ვენერას მაგნიტური ველი, პლაზმის მახასიათებლები მზის ქარით პლანეტის გარსშემოდენის ზონაში.

22 ოქტომბერს 6 საათსა და 58 წუთზე მოსკოვის დროით დასაშვები აპარატი ვენერას ატმოსფეროში შეეყარა წამში 10,7 კილომეტრის სიჩქარით. ატმოსფეროში აეროდინამიკური დამუხრუჭების პროცესში დასაშვები აპარატის ფრენის სიჩქარე წამში 250 მეტრამდე შეეცირდა, რის შემდეგ სადგურს ავტომატიკამ ამოქმედა პარაშუტების სისტემა. პარაშუტებით დაშვების დროს პირველად განხორციელდა პლანეტის ღრუბლოვანი ფენის კვლევის კომპლექსი.

50 კილომეტრ სიმაღლეზე პარაშუტის სისტემა გამოეყო, რის შემდეგ დასაშვები აპარატი განაგრძობდა დაშვებას დამუხრუჭების აეროდინამიკური სისტემის მეშვეობით და 8 საათსა და 13 წუთზე მოსკოვის დროით რბილად დაჯდა ვენერას ზედაპირზე.

დასაშვები აპარატის კონსტრუქციამ უზრუნველყო საბორტო სისტემებისა და სპეციალური აპარატურის ნორმალური მოქმედება. პლანეტის ატმოსფეროს გაკლისა და მის ზედაპირზე მუშაობის დროს.

დასაშვები აპარატის დაშვებას დროს და დაჯდომიდან 53 წუთის განმავლობაში მასზე დადგმული სპეციალური აპარატურის მეშვეობით მიმდინარეობდა პლანეტის ატმოსფეროსა და ზედაპირის კვლევა, აგრეთვე გადასცემდა დაჯდომის ადგილის გამოსახულებას. დასაშვები აპარატის სიგნალებს იღებდა ვენერას ხელოვნური თანამგზავრი და გადმოსცემდა დედამიწაზე.

მიღებულია მონაცემები პლანეტის ღრუბლოვანი ფენის, ვენერას ატმოსფეროს ოპტიკური მახასიათებლებისა და პარამეტრების, ზედაპირზე განათების პირობების, აგრეთვე დაჯდომის ადგილს გრუნტის ფიზიკური თვისებებისა და ხასიათის შესახებ. „ვენერა-9“ ავტომატურ სადგურზე — პლანეტა ვენერის ხელოვნურ თანამგზავრზე დაყენებულია ვიმპელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბარელიეფით. დასაშვებ აპარატზე დაყენებულია ვიმპელი, რომელზეც გამოსახულია სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი.

ავტომატური სადგური „ვენერა-10“ განაგრძობს ფრენას. 22 ოქტომბერს იგი 84 მილიონი კილომეტრით იყო დაშორებული დედამიწას და 872 ათასი კილომეტრით ვენერას. სადგური ვენერას მიდამოებს მიაღწევს 25 ოქტომბერს. შორეული კოსმოსური კავშირის ცენტრი განაგრძობს „ვენერა-9“ და „ვენერა-10“ ავტომატური სადგურების მართვას.

პლანეტა ვენერას უნიკალური კომპლექსური მეცნიერული კვლევის მონაცემებს, რომელიც პირველად განხორციელდა ერთდროულად დასაშვებ აპარატისა და პლანეტის ხელოვნური თანამგზავრის დახმარებით, ამუშავებენ და სწავლობენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის წინ მიღწეული საბჭოთა კოსმონავტიკის ახალი უდიდესი წარმატება საბჭოთის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მისი ხალხის შემოქმედებითი ენთუზიაზმის შესანიშნავი დადასტურებაა და ლირსეული წვლილია კოსმოსური სივრცის ათვისებაში.

ᲝᲥᲠᲝ — ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲑᲐᲚᲔᲑᲨᲘ

ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲕᲔᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲤᲐ

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲘᲡᲐᲠᲔᲗᲨᲘ შემოდგომის შესანიშნავი დღეებია, თბილი მზე დაჰნათის ქვეყანას, დამხვენებლებს პლაჟები ვერ მიუტოვებიათ, მაშინ როცა აჭარა-გურიის მთები თოვლით დაიფარა.

აჭარის მეცხვარეებს გადაწყვეტილი აქვთ არ ჩამორჩნენ რესპუბლიკის მეჩაიეებსა და მევენახეებს. მათ ვალდებულება იკისრეს წელს სამშობლოს მისცენ 80 ათასი ტონა ცხვრისა ნაყოფის გეგმაზე თითქმის ორჯერ მეტია.

ხახელოვანმა მეცხვრეებმა უხვი მოსავლის მოყვანა ტრადიციად დაამკვიდრეს — ხუთწლედის გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულეს. წელს ცხვრუსების მოსავალს კარგი პირი უჩანს.

სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების შეხვედრად აჭარის მეცხვრეებმა ახალი ძალით გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება. მათ გადაწყვიტეს შემჭიდროებულ ვადებში, უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი.

ქობულეთის რაიონის ციხისძირის, მუხაესტატესა და ზოგიერთ სხვა მეურნეობის ბაღებში დაიწყო მანდარინის შერჩევითი კრეფა. პირველი მოსავალი მოსკოველებსა და ლენინგრადელებს გაეგზავნება.

უხვმოსავლიანია ციხისძირელთა ბაღები (დირექტორი მ. მინაშვილი). მათ წელს გეგმით უნდა მიიღონ 1.035 ტონა ციტრუსები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲨᲘ: ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მეცხვრე უუეუნა ბარამიძე მანდარინის კრეფის დროს; მოკრეფილი ნაყოფის მექანიზებული დახარისხება დამზადების პუნქტში.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲓ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘᲐ 22 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ	ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ (ᲢᲝᲜᲜᲐᲜᲘᲗ)	ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘ (ᲢᲝᲜᲜᲐᲜᲘᲗ)
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ	10.000	8.703
ᲙᲐᲡᲞᲘ	9.350	5.895
ᲒᲝᲠᲘ	4.450	4.654
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ	5.570	3.494
ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ	26.850	18.275
ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ	18.100	14.727
ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ	14.300	14.426
ᲕᲐᲜᲘ	14.100	14.106
ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔ	5.450	4.211
ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ	5.350	3.794
ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ	2.200	1.400
ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲩᲐ	1.285	730
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ	1.560	1.522
ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ	1.010	1.010
ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ	3.000	2.403
ᲗᲔᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ	1.200	1.147
ᲓᲣᲨᲔᲗᲘ	1.900	1.305
ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ	4.200	2.316
ᲪᲐᲒᲔᲠᲘ	3.550	2.870
ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ	2.200	1.516
ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ	1.670	1.593
ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ	910	727
ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ	660	411
ᲥᲐᲠᲔᲚᲘ	725	340
ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘ	2.020	2.477
ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ	500	502
ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ	45	20
ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ	270	248
ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ	70	81
ᲝᲜᲘ	320	114
ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ	7.920	7.114
ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ	1.500	1.552
ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘ	1.020	607
ᲡᲣᲚ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘᲐ		401.966

სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1975 წლის 20 ოქტომბერს 70 წლის ასაკში მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ყოფილი უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვლადიმერ ნიკონისძე სტარომსკი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ბიჭნიაშვილების მუშური დინასტია

ფეიქართა დიდი ოჯახი

ომი ჯერ ახლა მძვინვარებდა. ბევრი ოჯახი შინმოუსვლელებს ელოდებდა. მათ შორის იყო გიხნიაშვილების ოჯახიც. ნიკო გიხნიაშვილის დაღუპვის ცნობის მიღების დღიდან მის მეუღლეს თალიკო ნინუას თვალზე ცრემლი არ შეშრობია, მაგრამ ფრონტზე მყოფი ვაჟის — პეტრეს მოლოდინში ხიმშნევეს მაინც ინარჩუნებდა, კერას პატრონობდა, ქალიშვილებს, რძალსა და შვილიშვილებს თავს დასტრიალებდა.

ავადედითმა მეორე ცნობამ უფრო მეტად დაამწუხრა გიხნიაშვილების ოჯახი, შვილის დაღუპვის ამბავმა ახალი ძალით შეძრა დედის გული. უკაცო ოჯახში დარჩენილი ქალები და ომში დაღუპული შვილის ობლები მძიმე მდგომარეობაში რჩებოდნენ. საჭირო იყო მრავალრიცხოვანი ოჯახის რჩენაზე ზრუნვა, ცხოვრებაში გზის გაგნება.

თალიკომ ეს გზა მალე მონახა. ნაცნობ-მეგობართა რჩევით თელავის უძველეს საფეიქრო ხელოვნებაში — ბრეშუმის ძაფსახვევ-ხვარეს ფაბრიკას მიაშურა, სოფლიდან მოხსულს პირველ დღეებშივე მოეწონა ახალი გარემო, ახალი ხამუშაო. გავიდა დღეები, მან თავისი ქალიშვილები — ნინოც და მარგოც, ოგრეთვე რძალი მარიკე გვერდში ამოიყენა და გიხნიაშვილების ოჯახის ოთხი წევრი დაეუფლა ფეიქრის პროფესიას.

გიხნიაშვილებმა ფაბრიკაში ბეჯითი შრომით მალე გაითქვეს სახელი, საწარმო მათი მეორე ოჯახი გახდა. ბინაც იქვე, ფაბრიკის საერთო საცხოვრებელში მიიღეს.

თალიკოს რძალს მარიკს შვილები წამოეზარდნენ. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ორივე შვილი — ელენე და შოთა დუდამ სამუშაოდ ფაბრიკაში მიიყვანა. არც თალიკოს ქალიშვილმა ნინომ უღალატა ოჯახის ტრადიციას, გათხოვებისთანავე მეუღლე ვანოც ჩაბა ფაბრიკის შრომითს ფერხულში.

გიხნიაშვილების ოჯახის მუშური დინასტია თანდათან განმტკიცდა, ვინც კი ამ ოჯახში წამოიზარდა, ან ოჯახს შეუმატა, შემდეგ ყველამ ფაბრიკაში დიიწყო მუშაობა.

ნინომ და ვანომ თავიანთი ოთხივე შვილი ნათელა, გივი, გულო და ციცინო საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ფაბრიკაში მიიყვანეს და ახლა მოწინავეთა რიგებში არიან. თალიკოს შვილიშვილმა შოთა გიხნიაშვილმაც მეუღლე ეთერი ფაბრიკაში მიიყვანა სამუშაოდ.

ამჟამად გიხნიაშვილების ოჯახის რვა წევრი იბრძვის მშობლიური საწარმოს მარკის ღირსებისათვის. კომუნისტი ციცინო გიხნიაშვილი გეგმებს უყოველთვის 115-120 პროცენტით ახრულებს. მოპოვებული წარმატებებისათვის შარშან კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელო წოდება მიენიჭა. იგი ფაბრიკის პროფკავშირის აქტივისტია.

მარგო, ლენა, ეთერ, გულო, ნელი გიხნიაშვილებიც გეგმებს დიდი გადაჭარბებით ახრულებენ. შოთა და გივი გიხნიაშვილები ზეინკლები არიან და მათზე მხოლოდ ქების სიტყვებს გადაგონებთ.

დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან 30 წელზე მეტი გავიდა. ფეიქართა დიდი ოჯახის დედაბოძი თალიკო ცოცხალი აღარ არის, ახალმა თაობამ გაიტანა, მაგრამ ტრადიცია გრძელდება, გიხნიაშვილების მუშური დინასტია ბეჯითად იბრძვის ფაბრიკის საერთო წარმატებებისა და ხკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, თავისი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის მიერ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ნაკისრი 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის წარმოებაში.

ა. თვალიაშვილი,

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

* * *

სურათზე: (მარცხნიდან) — ლენა, მარგო, გულო, ციცინო, ეთერ, შოთა, ნელი და გივი გიხნიაშვილები.

ტ. კობრიშვილის ფოტო.

საგჯოთა მუშაკების გადამზადება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საბჭოთა და პარტიული მუშაკების გადამზადების კურსები გაიარა მსმენელთა მორიგმა ნაკადმა, ერთი თვის მანძილზე მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები სწავლობდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებს, სოციალისტური ეკონომიკის მეცნიერული მართვის საფუძვლებს, პარტიული და საბჭოთა შენგებლობისა და სახალხო მეურნეობის და კულტურული შენებლობისადმი ხელმძღვანელობის პრაქტიკის საკითხებს.

მსმენელებს ლექციები და მოხსენებები წაუკითხეს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა ზ. ჩხეიძემ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ბაღორმა, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეებმა ჯ. ყაზახაშვილმა და დ. ნიკურაძემ, განთლების მინისტრის პირველმა მოადგილემ უ. ობოლაძემ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. კალანდარიშვილმა, პროფესორმა შ. ჩიკვაშვილმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ბურკაძემ, დოცენტებმა დ. ლორთქიფანიძემ, ს. სიმონგულოვამ, ი. ბაქრაძემ, ე. ქვათაძემ, ა. ციციშვილმა, გ. საგანელიძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის განყოფილების გამგემ მ. ბალაიტრიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგემ პ. ბერძენიშვილმა და სხვებმა.

კურსების მსმენელები შეხვედნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის, ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების ლენინის, ორჯონიკიძის რაიონული საბჭოების აღმასკომების, რესპუბლიკის პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოს, იუსტიციის სამინისტროს და სხვა მუშაკებს.

გამოცდილების გაზიარებისა და მუშაობის დაყენების გაცნობის მიზნით პრაქტიკული მეცადინეობა მოეწყო გორის, ახასის რაიონულ საბჭოებში, ამ რაიონების სოფლების დიცის, ძეკერის, სამთავისისა და ზემო ხანდაკის სასოფლო საბჭოებში.

კურსების მსმენელებს შეხვედნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძორენიძე და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაკაძე.

კურსების მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ ვ. საკსაგანსკიმ. (საინფორმი).

თეორიული კონფერენცია

ახლახან („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკურმა გამგეობამ და რაიონულმა ორგანიზაციამ ახმეტაში მოაწყეს ერთობლივი თეორიული კონფერენცია თემაზე: „ადამიანი და კანონი“.

„ადამიანი, ბუნება და კანონი“, „ოჯახი და კანონი“ — ამ საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდნენ პროფესორები ნ. ლომსაძე და ნ. წერეთელი. მოხსენებით „დამნაშავეობა და საზოგადოება“ შეკრებილთა წინაშე წარსდგა დოცენტი მ. ფალიაშვილი.

„მართლმსაჯულება ბრაკონიერთა წინააღმდეგ ბრძოლაში“ — ასეთი იყო სახალხო მოსამართლის გ. ოსეფაშვილის მოხსენების თემა, ხოლო სტაჟიორ მეურნეობის დირექტორმა ზ. არაბულმა წაიკითხა მოხსენება „რაიონის ტყის რესურსები და ზრუნვა მისი დაცვა-განვითარებისათვის“.

„საქართველოს აგიტატორი“ № 20

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეოცე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება სარედაქციო წერილით — საზოგადოებრივი აზრი. როგორ ჩამოვაყალიბოთ იგი? აქვეა დაბეჭდილი: ე. ხუნდაძე — ოქტომბერი — ახალი, დიდი ეპოქის დასაწყისი; გ. სერიოჟკინი — კანონიერებისა და წესრიგის სადარაჯოზე; ი. ბუხაიძე — ცხოვრებასთან კავშირში, ხ. ციტნაშვილი — ცოცხლად, დამაჯერებლად; ა. ანასაშვილი — თეორიული კონფერენცია პარტიის XXV ყრილობისათვის მზადებაზე. ი. პიჩკოვი — ნორმალურად გამოვავზომოროთ პირუტყვე; მ. კვაკაძე — უხეი და ყუთათანი საკვებისათვის; სანმეშუშო თემატიკა ლექციების, მოხსენებებისა და საუბრებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით; ასე აღწერენ შეკიბრების საჯაროობას; ჯ. კაკაურიძე — ცხოვრების საბქოური წესი — ყველას კეთენილებენ; ფ. მიქავა — საუბრების მთავარი თემა — ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება; ტ. სარიშვილი — დროშამქმეულთან ჭიდილში ახალი, პროგრესული ტრადიციები რომ იმარჯვებდეს; და სხვა საინტერესო მასალები.

მომზადებული შევხვდეთ ზაფხულს!

თბილისის ახალი სიმძლავრენი

უკანასკნელ ხანს დიდი ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის ღონისძიებები განხორციელდა თბილისის თბომეურნეობის განვითარებისა და სრულყოფისათვის. შეიქმნა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ცენტრალური თბომომარაგების ძირითადი სიმძლავრეები. რაიონული და კვარტალების თბოსადგურების, მაგისტრალური თბოქსელების შენებლობის, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვით და ობიექტებზე ავტომატიკის საშუალებათა გამოყენების მეოხებით საშუალება მოგვეცა მოგვეხდინა უმეტესი მცირე არარენტაბელური ინდივიდუალური სამქვაბეების ლიკვიდაცია და გაგვეწმინდა ქალაქის ჰაერი. ამასთან ცენტრალური გათბობის და ბინების ცხელი წყლით მომარაგების ქსელების გაფართოებამ საგრძნობლად შეამსუბუქა საქვაბე დანადგარების მომსახურე მუშაკთა მძიმე შრომა.

ამჟამად თბილისის კომუნალური გაერთიანების თბომეურნეობის სამმართველოს აქვს 36 რაიონული და კვარტალების თბოსადგური და 78 ინდივიდუალური საქვაბე. ამასთან თბილისის ცენტრალურ უბანში არსებობს თბოელექტროცენტრალი, რომელიც დიდი სიმძლავრისაა. ცენტრალიზებული წყაროებიდან თბოენერგიის იღებს 3.763 საცხოვრებელი ბინა და 565 დაწესებულება და ორგანიზაცია. მთლიანად თბოფიცირებულია 72 პროცენტი კომუნალური საცხოვრებელი ფონდი, ცხელი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილია 339.520 მცხოვრები.

1975-76 წლების გათბობის სეზონისათვის მზადების თბომეურნეობის სამმართველო გასული გათბობის სეზონს დამთავრებისთანავე შეუდგა. გაითვალისწინა ყველა გამოვლინებული ნაკლოვანება და შეადგინა მიმდინარე და კაპიტალური რემონტის და პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების გრაფიკები. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სამუშაო დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით ხორციელდება. დროულად დამთავრდა საქვაბეების და ორთქლის დანადგარების მექანიკური ნაწილის სარემონტო სამუშაოები, აგრეთვე მაგისტრალური და შიგა თბოქსელების, თბოპუნქტების, შიგასისტემების პროფილაქტიკური სამუშაოები.

განველილ პერიოდში კაპიტალურად შეკეთდა ცენტრალური გათბობის და ცხელი წყალმომარაგების შიდა ქსელები დაახლოებით 300 საცხოვრებელ ნაგებობა, გამოცვალა 2 კილომეტრი მაგისტრალური და შიგა თბოქსელები, მათ შორის ქავთარაძის, წულუკიძის, ოლორის, ჩიქოვანის, პავლოვის და სხვა ქუჩებზე. მიმდინარეობს სამუშაოები ქალაქის ცალკეული მიკრორაიონების თბომომარაგების ხელისხის გაუმჯობესებისათვის.

ოქტომბრის ბოლომდე დამთავრდება ვარკეთილის საცხოვრებელი მასივის თბოსადგურის გაფართოება. მისი სიმძლავრე ორჯერ აღემატება მიკრორაიონის გაზრდილ მოთხოვნებს. ასევე სამუშაოები მიმდინარეობს № 13 თბოსადგურში, რომელიც ოქროს ქუჩაზე მდებარეობს. დიდ ხმაურს იწვევდა საცხოვრებელი სახლების სარდაფებში მოთავსებული კვარტალების თბოპუნქტების დგუშები, რომლებიც ცხელი წყლის მიწოდებას ზიდა სართულებში მთლიანად ვერ უზრუნველყოფდა. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად სამუშაოები ჯერ კიდევ გასულ წლებში დაიწყო და ახლაც გრძელდება. დახადგარები საცხოვრებელი სახლებიდან გამოვიტანეთ საბურთალოს VI კვარტალში და მოსკოვის პროსპექტის მიკრორაიონში. ცალკე მდგომი თბოპუნქტები უნდა აშენდეს დიდომის საცხოვრებელი მასივის IV და VI კვარტალებში. სამუშაოები მიმდინარეობს, მათი მონტაჟი გათლად დამთავრდება.

დამთავრდა საბურთალოს კიდევ ერთი კვარტალის ცხელი წყლით მომარაგების დამატებითი რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები. იგი განხორციელდება თერმული წყალის მეოხებით და, ვფიქრობთ, მიწოდება უფრო სტაბილური იქნება, ამასთან დაზოგავს გარკვეული რაოდენობის თბოენერგიას და სასმელ წყალს.

მომხმარებელთა თბომომარაგება გაუმჯობესდება წერეთლის პროსპექტზეც, სადაც ამენდა მაგისტრალური თბოქსელი დიდუბის რაიონული თბოსადგურიდან მრავალსართულიან ქუჩაზე მდებარე თბოპუნქტამდე. ამით განიტვირთა მაუდ-კამვოლის კომბინატის საქვაბეც, რომელიც აქამდე ამ მიკრორაიონს ემსახურებოდა. თბილისის თბოელექტროცენტრალის მომსახურების ზონის გაფართოების, მისი თბოქსელების გადიდების და ახალი მომხმარებლის შემატების გამო უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაუარესდა ქალაქის ცენტრის ცალკეული მიკრორაიონების თბომომარაგება. მაგალითად, ცოდად თბებოდა ითარბეგოვის, ა. ჯაფარიძის, ფოცხვერაშვილის, ნინოშვილის და სხვა ქუჩები. ამ მდგომარეობას თანდათან გამოვასწორებთ. ვაუთვალისწინებელი სამუშაოების ჩატარება მოგვიხდა სანურთალოს ქუჩაზე, სადაც თბოქსელი მთლიანად მწყობრიდან გამოსული აღმოჩნდა გრუნტის წყლების ზემოქმედების გამო. სამუშაოები დამკვრელურად წარმართა და ტრასა უკვე მზად არის. ცხადია, გაუმჯობესდება პეკინის, საბურთალოს, კუტუზოვის, პავლოვის და ბახტრიონის ქუჩების თბომომარაგება.

თბომეურნეობის შეუფერებელი მუშაობა ფიდად არის დამოკიდებული სხვა მიწისქვეშა კომუნიკაციების (გაზი, წყალი, ელექტროენერგია) სრულყოფილ მუშაობაზე. შარშან ბეერჯერ შეგვიერხა ამ კომუნიკაციების გაუმართობამ. ამიტომ წლეულს ამ მხრივ გადამჭრელი ზომები მივიღეთ, მთავარი ყურადღება დავუთმეთ თბოსადგურების მაორადი ელექტროკვების, გაზის მეურნეობის და წყლის სარეზერვუარო მარაგების სრულყოფას.

ქალაქის კომუნალური მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად წლეულს საექსპლოატაციოდ გადაეცემა № 25 თბოსადგური (იგი დიდომში მდებარეობს), გლდანის და ვარკეთილის საცხოვრებელი მასივების რაიონული თბოსადგურები. წლის ბოლომდე მუშაობდა აგრეთვე ფონიჭალის რაიონული თბოსადგური.

სამუშაოები დამთავრდა და სეზონის დაწყებისათვის მწყობრში ჩადგება რაიონული თბოსადგური ბეერეთის ქუჩაზე. გათვალისწინებულია თბოქსელების რეკონსტრუქცია ტაბიძის და ლერმონტოვის ქუჩებზე და აქაური კვარტალის თბოპუნქტის მშენებლობა. ამ სამუშაოების ჩატარების შემდეგ გაუმჯობესდება დადიანის, ტაბიძის, მაჩაბლის, ენგელსის ქუჩ. ე.ბ.ი.ს თბომომარაგება, ისინი ახალ თბოსადგურზე ჩაირთვებიან. გეგმით აგრეთვე გათვალისწინებულია 210 საცხოვრებელი სახლის თბოფიკაცია ქალაქის ცენტრში, ამ სახლებს ადრე არა ჰქონდათ ცენტრალური გათბობა.

ქალაქის თბომეურნეობის სამმართველოს კოლექტივი ამავეთვე ზრუნავს იმისათვის, რომ გათბობის სეზონში შეფერხებებს ადგილი არ ჰქონდეს.

თ. გურგენიძე,

თბილისის კომუნალური გაერთიანების მთავარი ინჟინერი.

ფერმებს — ზრუნვა!

მეცხოველეობის ხუფთა სადგომები, იქვე დაწყობილ-დაწნეხილი თივის ზვავები, გულდასმით დაფარული სენაჟის ტრანშეები — ეს ახლა ჩვეულებრივი სურათია ხაშურის რაიონის უმრავლესი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის.

საზამთროდ ფერმების სანიმუშოდ მომზადებისათვის ნაკისრი ვალდებულებებს რაიონში წარმატებით ასრულებენ. უხეში საკვების დამზადების გეგმა-ვალდებულება 158 პროცენტით შესრულდა, მათ შორის თივისა — 148 პროცენტით.

ჭელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ყუთიანი საკვების — სენაჟის დამზადებას. ეს საშუალო 149 პროცენტით არის განადღებული. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სილოსის დამზადება. ღონისძიებათა კომპლექსში, რომლებზეც დამოკიდებულია ხაზამთრო მზადება, დიდი ადგილი უჭირავს მეცხოველეობის ხადგომების რემონტს.

ხურამის კოლმეურნეობაში პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის გულმოდგინედ ემზადებიან, საკმაოზე მეტი აქვთ თივა, სენაჟი და უხეში საკვები. ხურამელმა მეცხოველეებმა გამოავლინეს გამოუყენებელი რეზერვები. მაგალითად, ამჟამად მაესობრივად მიმდინარეობს შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება. ამ დროს მინდვრად რჩება ჭარხლის ფოჩი, რომელსაც ადრე არ იყენებდნენ. ახლა ფოჩს იყენებენ სილოსის დასამზადებლად, ნაწილს კი მეწველ ძროხებს აძლევენ მწვანე საკვების სახით. ამ დამატებითი რეზერვის გამოყენებით კოლმეურნეობაში ყოველდღე მარშან ამაგე პერიოდთან შედარებით თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 25 პროცენტით მეტ წველადობას აღწევენ.

მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი დარჩენილი დღეები ხურამელებმა დამკვრელური შრომის დღეებად გამოაცხადეს და იკისრეს ვალდებულების გადამეტებით პირუტყვის გამოზამთრების მიზნით ჭარხლის ფოჩისაგან დაამზადონ სულ მცირე 1.500 ცენტნერი მწვანე საკვები. გარდა ამისა, კომბისტოს, სტაფილოსა და სუფრის ჭარხლის ნარჩენებისაგან მოიმარაგონ 700 ცენტნერზე მეტი საკვები.

ხურამელ მეცხოველეთა ფერმებში წელს პირუტყვს საკვები ძირითადად წინასწარ მანქანით დაჭრილ-დაქუმაცებული მიეცემა, რაც საგრძნობლად გაზრდის პროდუქტიულობას, მოეწყობა ელექტროტენიკური წველა.

პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის კარგად ემზადებიან აგრეთვე ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობაში. აქ საკვების საკმაოზე მეტი მარაგი აქვთ, მაგრამ ამას რიდი სჯერდებიან. მათ თვალდებულეს მარტი ჭარხლის ფოჩისაგან წლის ბოლოდე დაამზადონ 2 ათასი ცენტნერი საკვები, 1 ნოემბრამდე დაამთავრონ მეცხოველეობის ფერმების რემონტი. სრულ წესრიგში მოიყვანონ საკვების დამამზადებელი დანადგარები.

ფერმების გამოზამთრებისათვის ენერგიულად შრომობენ აგრეთვე ოსიაურის, ხციისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

შ. ჯოჯუა,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

კომკავშირული ძალებით

ამგრილაურის რაიონის ახალგაზრდობა საკვების დამზადების დამკვრელურ კომკავშირულ ორთვეულში ჩაება და ვალდებულება აიღო დაამზადოს 3.300 ტონა თივა. ორთვეულის გამოცხადებისთანავე შეიქმნა საკვებმომპოვებელთა კომკავშირული ბრიგადები, რგოლები, რომლებმაც დაისახეს დევიზი: „მეცხოველეობის გადაგვარების — კომკავშირული ზრუნვა!“ ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ბრიგადებსა და რგოლებს შორის. ქუდზე კაცი გავიდა სათიბებში. ახალგაზრდობამ სიტყვა სქმედ აქციეს — უკვე დამზადებულია 3.000 ტონა თივა.

საყურადღებო სიგნალები სოფლიდან

კარტოფილის აღება ჭიანურდება

ყლეგანდელმა გვალვებმა ბევრგან კარტოფილის ნათესები დააზიანა. მაგრამ ეს არ ითქმის ახალციხის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაზე (მეურნეობის დირექტორი ვ. ხითარიშვილი), სადაც ყველაფერი გაკეთებულ ჭირვეული ამინდის დასაძლევად და მოსავლის აღებამ-დაბინავებაზეც დროულად იზრუნეს. საშუალოდ ჰექტარზე 140 ცენტნერი კარტოფილი მიიღეს, გეგმა კი 115 ცენტნერს ითვალისწინებდა. სულ აწარმოეს 10.777 ცენტნერი, ანუ გეგმით გათვალისწინებულზე 2.152 ცენტნერით მეტი, ხოლო სახელმწიფოს მიჰყიდეს 5.202 ცენტნერი კარტოფილი ნაცვლად ვალდებულებისა ნაკისრი 4.000 ცენტნერისა. მეურნეობამ მეკარტოფილეობიდან შარშან თუ 30 ათასი მანეთი მოგება მიიღო, წელს მოგებამ 40 ათას მანეთს გადაჭარბა.

კარგად იმუშავეს სოფელ ელიაწმინდის კოლმეურნეობის მეკარტოფილეებმა, როშლებმაც ასევე დროულად დაამთავრეს კარტოფილის ამოღება და კარგი მოსავალიც მიიღეს — ხუთზელოდ ჰექტარზე 147 ცენტნერი ნაცვლად 110 ცენტნერისა. კოლმეურნეობამ სახელმწიფოსათვის კარტოფილის მოყიდვის გეგმა-ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულა, კიდევ უფრო მაღალი მოსავალი — ჰექტარზე 161 ცენტნერი კარტოფილი მიიღეს სოფელ ანის კოლმეურნეობაში.

მაგრამ ასე როდი ითქმის მინაძის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ს. ნახყიდამეილი) შესახებ, სადაც წელს 145 ჰექტარზე ეთესათ კარტოფილი. აქ მოსავლის აღება გაჭიანურეს. როცა ჩვენ შევამოწმეთ, მინაძის აგროუბნის ერთ-ერთი ბრიგადა, რომელსაც შ. ბარძიმაძე ხელმძღვანელობს, მოსავლის აღებაზე ერთი კარტოფილისაბრესელი მანქანა და ათეოდე მოსწავლე მუშაობდა. მეურნეობის შუმები არსად ჩანდნენ. მოსწავლეები გარდა ამისა, რომ უხარისხოდ მუშაობდნენ, ვერც ასწრებდნენ კარტოფილის შეგროვებას. ამიტომ კარტოფილისაბრესელი მანქანა ყანის ნახირას იდგა და ელოდა, როდის აგროუბნენ ამოყრილ კარტოფილს, რომ მუშაობა განეგრძოთ. კარტოფილისაბრელი მანქანა ფაქტურად სანახევროდ მომცდარი იყო.

იქით სხვა ტრაქტორი გუგუნებდა. მაგრამ კარტოფილის ამოღებაზე როდი მუშაობდა. უკან გამომბული ბათბი მანქანით კარტოფილის ნათესებში მომრავლებულ სარეველას თიბავდა, რომ კარტოფილსათხრელ მანქანას არ გასხენელებოდა მუშაობა. ეს სარეველა ბალახი იმაზე მეტყველებდა, რომ თავის დროზე აქ კარტოფილის ნათესები კარგად არ დაამუშავეს. ეი ერთ-ერთი მიზეზი. იმისა, რომ ამ მეურნეობაში კარტოფილის დაბალ მოსავალს იღებენ.

მეურნეობის ერთ-ერთი სოფლის — ანდიის ბრიგადის ხელმძღვანელმა შ. ბერიძემ შემოგვიჩივლა: მეურნეობის ხელმძღვანელობამ თავის დროზე ავტომანქანები არ მოგვცა მთიდან თავის ჩამოსატანად. ამიტომ მთებიდან თივა ცხენებზე ვეზიდებით, რიგორც დავამთავრებთ, კარტოფილის მოსავლის აღებასაც დავიწყებთო.

ამ ფაქტებიდან ჩანს, რომ მეურნეობაში მეკარტოფილეობას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. სწორედ ამიტომ არის, რომ წლების მანძილზე ვერ ასრულებენ კარტოფილის წარმოების გეგმას, კარტოფილსათხრელი მანქანა ფაქტურად სანახევროდ მომცდარი იყო.

რატომ ჩამორჩნენ ახალციხელები?

ვის ჩამოსატანად. ამიტომ მთებიდან თივას ახლა ვეზიდებით, რიგორც დავამთავრებთ, კარტოფილის მოსავლის აღებასაც დავიწყებთო.

ამ ფაქტებიდან ჩანს, რომ მეურნეობაში მეკარტოფილეობას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. სწორედ ამიტომ არის, რომ წლების მანძილზე ვერ ასრულებენ კარტოფილის წარმოების გეგმას, კარტოფილსათხრელი მანქანა ფაქტურად სანახევროდ მომცდარი იყო. საშუალოდ ჰექტარზე იღებენ 68 ცენტნერ კარტოფილს ნაცვლად 103 ცენტნერისა. ამ მეურნეობის ხელმძღვანელებს საწარმოო გეგმების შეცირებისათვის უფრო უზრუნეთ, ვიდრე მათი შესრულებისათვის. წელს მათ სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 5.400 ცენტნერი კარტოფილი. მიყიდული აქვთ 4.937 ცენტნერი.

აქ თურმე სახელმწიფოსათვის კარტოფილის მოყიდვის გეგმის შესრულებას საკუთარი საჭიროებისათვის მომარაგებული სათესლე კარტოფილის ჩაბარებით ცდილობენ. ამას წინათ, როცა მათ ვერ უზრუნველყვეს დამზადების კანტორაში მინდვრიდან კარტოფილის გაგზავნა, საწყობიდან გამოიტანეს სათესლედ მომზარაგებული 60 ტონა კარტოფილი და გაგზავნეს დამზადების კანტორაში. ეს მაშინ, როცა მეურნეობა ისედაც საკმარისი რაოდენობით ვერ იმარაგებს საკუთარი წარმოების თესლს. შარშან აქ 105 ტონა სათესლე კარტოფილი შეიძინეს. წელს 400 ტონის შეძენას აპირებენ.

ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად არსებულ რეზერვებს ჯერად ვერ იყენებენ აგრეთვე აწყურის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ა. კალანდაძე). აქ წელს კარტოფილი 300 ჰექტარზე ეთესათ. თითქმის ორი თვეა ჭიანურდება მისი ამოღება. ახლა მოსავლიანობას არ იტყვიან? საშუალოდ ჰექტარზე 56 ცენტნერს ძლივს აღწევენ. მეურნეობის ზოგიერთ უბანში კი (საყუნეთი, ზიკილია, ფერსა და სხვ.), რაც დათესეს, იმასაც ვერ იღებენ. ან კი რა მოსავალი უნდა მიიღონ, როცა თავის დროზე ხარისხიანად არ დაამუშავეს ნათესები, შემდეგ გვალვების დროს დროულად არ მორწყეს.

ბამაჯის საბჭოთა მეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე 78 ცენტნერ კარტოფილს იღებენ, გეგმა კი 120 ცენტნერს ითვალისწინებს. სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 21.550 ცენტნერი კარტოფილი. ჯერჯერობით მიყიდულია 5.716 ცენტნერი. მეურნეობის დირექტორმა მ. ვიმინიანმა კი განაცხადა, მოსავლიანობა ისე დაბალია, რომ წელს 13.000 ცენტნერზე მეტს ვერ დავამზადებთო. დაბალი მოსავლიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ სათანადოდ არ უყლიან კარტოფილის ნათესებს. ეი ფაქტიც: აგროუბნის № 2 ბრიგადის კარტოფილის ნათესები სარეველა ბალახს ისე ფეფარა, რომ კვლები აღარ ჩანდა, მეურნეობის მუშები ჯერ სარეველ ბალახს ცელით თიბავდნენ და მერე კარტოფილს იღებდნენ.

კარტოფილის ნათესები, მართალია, წელს უკეთესად დაამუშავეს წყალთბადოს საბჭოთა მეურნეობაში და მოსავალიც კარგი აქვთ, საშუალოდ ჰექტარზე იღებენ 120 ცენტნერ კარტოფილს, მაგრამ აქაც მოსავლის აღება მეტად ჭიანურდება. მნიშვნელოვანი მდგომარეობაა ვალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში.

რაიონში საშუალოდ ჰექტარზე იღებენ 91 ცენტნერ კარტოფილს, ნაცვლად 115-ისა და ვალდებულებით ნაკისრი 120 ცენტნერისა ცხადია, ასე დაბალი მოსავლიანობით წარმოების გეგმა-ვალდებულებები არ შესრულდება.

სანამ კიდევ დრო არის, რაიონის მეკარტოფილეებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ დაიჭარონ და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, სახელმწიფოს მიჰყიდონ ვალდებულებით ნაკისრი 10 ათასი ტონა კარტოფილი.

შ. მაისურაძე,

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

თვალსაჩინოთ გავუფრთხილდეთ ჩვენს გარეულ

საქართველოს სსრ ნადაყოფლოგითი საზოგადოება „ბუნების მეგობრის“ ყრილობის წინ

სხვა მხარეებს არ გამოუდგებიან: აი ჩვენში, ჩვენს თვალწინ, ისპობა ქართული ნუში. იგი დიდი მასალაა ხრიოკი, გვალვიანი ადგილების ასათვისებლად. გადიხნა მუხნარის ველის ირგვლივ ფერდობთა ის ბუჩქნარები, სადაც ეს მცენარე იზრდებოდა. სამგორის სამხრეთ-აღმოსავლეთით (ქვათეთრები) ცოტაოდენი კიდევ გვხვდება, მაგრამ მასაც დღეს-ხვალ მოადგება სახნის-საკვეთი.

ჩვენ მივტირით ველურ მცენარეებს, მაშინ როდესაც ჩვენ თვალწინ მოისპო ან ისპობა კულტურული მცენარე, ადარ ითესება ხანდური, მახა, ასლი, ამოწყდომის გზაზეა დიკა. შესანშნავი და უბადლო ღომი. ესენი არამცოდ შესანშნავი გენოფონდის მატარებელნი არიან, არამედ დღესაც ჩვეულებრივი აგროტექნიკური მეთოდების გამოყენებით შეიძლება აღმოსავლეთ საქართველოში ღომმა 40-60 ცენტნერი წმინდა მარცვალი მოგვცეს.

ღომმა კვლავ უნდა დაიჭიროს ჩვენს მინდვრებზე სპატეთ ადგილი, ასევე დიკამაც; ხანდური, მახა თუ ასლი ყნდა ითესებოდეს ცოტაოდენი მაინც, როგორც ძვირფასი გენოფონდის მატარებელი.

ჩვენს ზვრებსა და ვენახებში 30-35 ეიზოს ჯიშს აშენებენ, მაშინ, როდესაც ჩვენი ქართული ვაზი 500-ზე მეტია გამოყვანილი. მაშასადამე 470 ჯიშამდე უყურადღებოდ არის დატოვებული, თანდათან ქრება. მათ გამოყვანას, ჩამოყალიბებას კი საუკუნეები მოუნდა. აქაც საჭიროა გადაუდებელი ღონისძიებანი, ყოველ საბჭოთა მეურნეობამ. კოლმეურნეობამ თავის ზვარში ამ მცენარეებს უნდა დუთმოს ერთი-ორი ჰექტარი და თავის რაიონის (მაგ. ვახეთის, ქართლის აფხაზეთის და სხვ.) ვაზის ჯიში ეს-ესი ძირი მაინც ახაროს. თვითეულ რაიონში საშუალოდ 60 ჯიშია, მაშასადამე ექვსი ათასი ძირი, სულ 3 ჰექტარი დასჭირდება ასეთ დიდ საქმეს.

სახელმწიფოთა ხელმძღვანელობის უმაღლეს დონეზე შეხვედრების დროს (აშშ და საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის — საბჭოთა კავშირის და სხვათა) ერთერთ მთავარ საკითხად დგას ხელმეორე ბუნების დაცვა, მისი რაციონალური გამოყენება. თუ ამის შესასრულებლად სათ



ქვირფასი საჩუქარი

გამოვიდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. პირველი ტომი

ჩვენმა საზოგადოებრიობამ ძვირფასი საჩუქარი მიიღო — გამოვიდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველი ტომი.

ენციკლოპედიის პირველი ტომი იხსნება შესავალი წერილით „რედაქციისაგან", რომელშიც ვკითხულობთ:

„ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე) გამოდის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით. წინამდებარე გამოცემა პირველი ქართული თანამედროვე ტიპის უნივერსალური სამეცნიერო ცნობარია. იგი ასახავს ადამიანის ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ყველა ძირითად სფეროს.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში გაშუქებულია:

სსრკ ხალხთა ისტორიული წარსული და აწმყო; საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მსოფლიო-ისტორიული მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში; საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარების ისტორიული გამოცდილება; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მარქსისტული პარტიების მიერ რევოლუციურ თეორიაში შეტანილი წვლილი; სსრკ ხალხთა ძმობა და ურღვევი მეგობრობა, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება, საბჭოთა რესპუბლიკების ერთ მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოდ გაერთიანების ისტორიული მნიშვნელობა; სკკპ ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ენციკლოპედიაში დიდი ადგილი ეთმობა საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკურ ისტორიას, ეკონომიკას, კულტურას, საზოგადოებრივი აზრის განვითარების ძირითად მიმართულებებს; ნაჩვენებია კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის კრიზისის გაღრმავება, კოლონიური სისტემის რღვევა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების გაჩენა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნიკის საკითხების გაშუქებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოწინავე მიმართულებებს, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია საკმაო ადგილს უთმობს ბირთვული ფიზიკის, რადიოასტრონომიის, გეოფიზიკის, ბიოფიზიკის, კიბერნეტიკის, კოსმონავტიკის, გამომთვლელი ტექნიკის, გენეტიკის, კოსმოსური ბიოლოგიის, რადიოქიმიის, პოლიმერთა ქიმიისა და ტექნოლოგიის, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა, მედიცინის და სხვა საკითხებს.

განსაკუთრებით ფართოდ არის ასახული საქართველოს სსრ მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში; ქართველი ხალხის ბრძოლა სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის, მისი წვლილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია. საქართველოს გეოგრაფიას, ისტორიას, ეკონომიკასა და კულტურას დაეთმობა 20 ათასზე მეტი სტატია. გამოცემის ერთ-ერთი ტომი მთლიანად მიეძღვნება საქართველოს სს რესპუბლიკას.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია მრავალტომიანი გამოცემაა და მოიცავს 70 ათასამდე ტერმინ-სტატიას.

ენციკლოპედიის გამოცემის დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი ერთხელ კიდევ ნათლად ადასტურებს ჩვენი პარტიის ბრძნული ლენინური პოლიტიკის ცხოველმყოფელ ძალას. ასეთი გამოცემის მომზადების შესაძლებლობა განსაზღვრა ქართველი ხალხის ისტორიულმა მიღწევებმა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დღევანდელმა დონემ".

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველი ტომის (ა — ატოცი) მთავარი რედაქტორია ირ. აბაშიძე, მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან: ე. ანდრონიკაშვილი, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ბ. ბუხნიკაშვილი, ნ. ბაბაშვილი, ჯ. გუგუშვილი, ვ. გულისაშვილი, თ. დავითაია, ლ. დავითაშვილი, რ. დვალი, ი. დოლიძე, ხ. დურგიშიძე, ი. ვარდოსანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ი. ვეკუა, ფ. თავაძე, ო. თაქთაქიშვილი, პ. ინგოროყვა, ნ. კეცხოველი, პ. კუპრაძე, ნ. ლანდია, დ. ლორთქიფანიძე, კ. ლორთქიფანიძე, ვ. მაჩალდიანი, გ. მელიქიშვილი, ვ. მერკვილაძე, ვ. მეგრელელი, რ. მეტრეველი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ი. მელქაძე, ნ. მუსელიშვილი, რ. ნაბიაძე, შ. ნაფეფვარიძე, მ. საბაშვილი, დ. სტურუა, ი. ტაბიშვილი, ა. ფრანგიშვილი, ხ. ყაუხჩიშვილი, ა. შანიძე, გ. ჩიბაია, ა. ჩიკოვანი, დ. ჩხეიკიშვილი, გ. ციციშვილი, ბ. ძიძარია, ა. ძიძიგური, შ. ძიძიგური, გ. ძოწენიძე, ნ. ფაფავაძე, ვ. ფაფავანიძე, ე. ხარაძე, თ. ხოჭტარია, გ. ჯიბლაძე, ხ. ჯიბაია.

პირველი ტომის შედგენაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსა და სექციებს, სამეცნიერო რედაქციებს.

ენციკლოპედიის პირველი ტომი დაიბეჭდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში. პირველი ტომის გამოცემაზე მუშაობდნენ ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე საწარმოო დარგში გ. ასათიანი, მხატვარი ვ. გრიგოლია, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის დირექტორი ვ. მენთეშაშვილი, საამწყობო საამქროს უფროსი ლ. ბამბაგელი, კლავიატურაზე ამწყობი ნ. ბამბარელიძე, ჩამომსხმელი ო. ბამბუჩაშვილი, დამკაბადონებელი შ. ვეშაპიძე, ასოთამწყობები ქ. ჩიფაშვილი, ნ. ფილიპეა, ე. ციხელაშვილი, ელექტროცელოფანზე გადამღები ვ. ხაბინაძე, კორექტორი ნ. ოსაძე, საოფსეტო საამქროს უფროსი თ. ჯანეშაშვილი, უფროსი ოსტატი შ. თოფურიძე, ოსტატი ვ. ვართანოვი, ფოტოგრაფი კ. ზუბიაშვილი, ქიმიური ლაბორატორიის გამგე ც. კვიტატიანი, ახლის გადამღები თ. პაპალიშვილი, ვ. კიბანაძე, რეტუშორი ა. ხვედელიანი, მბეჭდავი დ. ზუბიაშვილი, მბეჭდავის თანაშემწე დ. კუდარავა, საამკინძაო საამქროს უფროსი ვ. შანიძე.

სატექსტე შრიფტის ავტორია ა. დუმბაძე.

ენციკლოპედიის პირველ ტომში მოთავსებულია ღრმა ბეჭდვის 16 ჩანართი, მაღალი ბეჭდვის 8 ფერადი ჩანართი (დაიბეჭდა მოსკოვის № 2 სტამბაში), 8 ფერადი ოფსეტური ჩანართი (დაიბეჭდა მოსკოვის ა. ულანოვის სახელობის პირველ სანიმუშო სტამბაში), 11 ფერადი ჩანართი და 1 ჩასადები რუკა. ტექსტში 49 შავ-თეთრი რუკა, 1170-ზე მეტი ილუსტრაცია და სქემაა.

პირველი ტომის ტირაჟია — 80.000, ფასი 7 მანეთი.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველი ტომის გამოსვლა დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია.





სურათებზე: ენციკლოპედიის ყდა. სატიტულო და შიდა გვერდების ნიმუშები.

---

22 ოქტომბერი

ამბები • ფაქტები

საკვანძო და უსახოეთის პრესის სააგენტოების იტყობინებიან

ამწვავებენ კონფლიქტს

ვაშინგტონი, (საკვანძო). პენტაგონი აპირებს ტელ-ავივს მიაწოდოს ბარაღი სულ უფრო მზარდი მოცულობით, ხელს უწყობს კონფლიქტის გამწვავებას ახლო აღმოსავლეთში და ხელს უშლის ამ რაიონში მშვიდობიან მოწესრიგებას. პრეს-კონფერენციაზე თავდაცვის მინისტრმა ჯ. შლესინჯერმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ისრაელისთვის „პერშინგის" რაკეტების მიწოდების საკითხს განიხილავენ „თანაგრძნობის სულისკვეთებით".

როგორც ამერიკის პრესა იუწყება, სინის ნახევარკუნძულზე ეგვიპტისა და ისრაელის ჯარების დამორიგორების უკანასკნელი შეთანხმების ფარგლებში ვაშინგტონმა ტელ-ავივს საიდუმლოდ აუწყა, რომ მიაწვდის „პერშინგის" რაკეტებს, რომლებსაც შეუძლიათ ატომურმუხტიანი ჭურვების ტარება, უახლეს „ფ-16" ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენებს, აგრეთვე წელიწადში 2,5 მილიარდი დოლარით გაუდიდებს სამხედრო-ეკონომიურ დახმარებას.

რეზოლუციის პროექტი მიიღეს

ნიუ-იორკი, (საკვანძო). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა მშვიდობასა და დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებას რომ ესწრაფვის, ამის მკაფიო დადასტურებაა ის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველმა კომიტეტმა (პოლიტიკურ საკითხთა და უშიშროების საკითხთა კომიტეტმა) მიიღო პროექტი რეზოლუციისა საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების იმ დეკლარაციის განხორციელების საკითხზე, რომელიც სსრ კავშირის ინიციატივით მოიწონა ერების გაერთიანებამ. რეზოლუციის პროექტს, რომელიც ერთობლივად წარადგინეს განვითარებადი და მეუმხრობელი ქვეყნების დიდმა ჯგუფმა და სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოებმა, ხმა მისცეს 87 ქვეყნის წარმომადგენლებმა.

გენერალური ასამბლეის დასამტკიცებლად წარდგენილი რეზოლუცია მიესალმება ახალ მიღწევებსა და ტენდენციებს საერთაშორისო ურთიერთობებში, ისეთებს, როგორიცაა პროგრესი დეკოლონიზაციის, ინდოჩინეთში ომის კერის ლიკვიდაციის დარგში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატებითი შედეგი და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას და მშვიდობიან თანაარსებობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრების შესაბამისად.

ამავე დროს დოკუმენტში გამოთქმულია დიდი შეშფოთება სხვადასხვა რაიონში კრიზისებისა და დაძაბულობის კერების არსებობის გამო, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას, გამოცხადებული შეიარაღების, აგრეთვე აგრესიის აქტებისა და სხვა ფაქტების გამო, რომლებიც მთავარ დაბრკოლებად რჩებიან საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების გზაზე.

კომიტეტი რეზოლუციაში რეკომენდაციას იძლევა სასწრაფო ღონისძიებანი განახორციელონ გამაღიცებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღებისათვის ხელმეწყობის მიზნით, კერძოდ მოიწვიონ განიარაღების მსოფლიო კონფერენცია და გააუქმონ უცხოეთის სამხედრო ბაზები, შეამნან მშვიდობის ზონები და ხელი შეუწყონ საყოველთაო და სრულ განიარაღებას, აგრეთვე განამტკიცონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საერთაშორისო დაძაბულობის მიზეზების აღმოფხვრისა და საერთაშორისო მშვიდობის, უშიშროებისა და თანაბარშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით.

დელეგატთა დიდი უმრავლესობის გაკვირვება გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ნეგატიურმა პოზიციამ, რომელმაც ერთადერთმა მისცა ხმა ამ პროექტის მიღების წინააღმდეგ, მოიმიზეზა რა, რომ ვერ დაეთანხმება ფორმულირებას ხალხთა სუვერენული უფლების შესახებ თვითონ განაგონ თავიანთი ბუნებრივი რესურსები.

აირჩიეს ახალი წევრები

ნიუ-იორკი, (საკვანძო). რუმინეთი, დაგომეა, ლიბიის არაბთა რესპუბლიკა და პანამა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრებად აირჩია ორი წლის პერიოდით, დღეგებული 1976 წლის 1 იანვრიდან. გენერალურ ასამბლეაზე კენჭისყრის მსვლელობაში ამ ქვეყნებმა მიიღეს საჭირო უმრავლესობა — ხმების ორი მესამედი. ახარჩევია საბჭოს მეხუთე არამუდმივი წევრი, რომდენადაც ვერც ინდოეთმა, ვერც პაკისტანმა ვერ მოაგროვეს ხმების საჭირო უმრავლესობა.

უშიშროების საბჭოს ხუთი არამუდმივი წევრი, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ ორგანომი ყოფნის ვადა წელს გაუდის, არიან ბელორუსიის სსრ, კოსტა-რიკა, ეროკი, მავრიტანია და კამერუნის გაერთიანებული რესპუბლიკა. უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრებად 1976 წელს დარჩებიან გაიანა, იტალია, იაპონია, შვეიცია და ტანზანია.

უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი, როგორც ცნობილია, არიან სსრ კავშირი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

ქარიერის ჭალა

რევაზ ჯაფარიძე

როგორც „კომუნისტის" მკითხველებმა იციან, ამ გოლო ხანებში ჩვენი მწერლები თავიანთ გაგოსვლებში პრესის ფურცლებზე აყენებენ ცხოვრების ღრმა პრობლემებს, რომ უფრო ხერხებულად, უფრო წარმატებით გადაწყვიტოთ ჩვენს წინაშე მდგარი პრაქტიკული ამოცანები.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ მწერალ რევაზ ჯაფარიძის პუბლიცისტური ნარკვევს „არეისის ჭალას", რომელიც რედაქციის თხოვნით დაიწერა ონისა და ამბროლაურის რაიონებში ხანგრძლივი მივლინების დროს.

1.

დრე, ფიდი ხნის წინათ, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან რაჭაში სამი საკრაველი გზა შედიოდა. პირველი მათგანი, ქართლის ანუ კეხვის გზა, დიდი ლიახვის ხეობას ალმა მისდევდა, ცხინვალს ზემოთ ფაწის ხეობაში შეუხვევდა, შემდეგ ერწოს უღელტეხილს გადაივლიდა და კუდაროს გაღლით ზემო რაჭაში ეშვებოდა.

გარდა დიდი ქართველი გეოგრაფოსისა ვახუშტი ბატონიშვილისა, ეს გზა დაწერილებით აუწერია პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიისა და რუსეთის საგარეო საზოგადოების ნამდვილ წევრს პროფესორ გულდენშტეტს, რომელმაც ლეკიანობით შეწუხებულ საქართველოში 1772 წელს იმოგზაურა.

უმოკლესი გზა დედაქალაქიდან რაჭამდე დღესაც ამ მამაპაპურ გზაზე დგას და ვისაც ადრე რაჭიდან იქეთ ან აქეთან იქთ უმოგზაურია, დღეს მიმოსულის სიძნელეს ვეღარც კი ამჩნევს, თუმცა გზის ის მონაკვეთი, გუფთიდან ქვედრულის პირამდე ქედის აქეთა და იქითა ფერდზე რომ ჰკიდია, ვიდრე თანამედროვე ავტომაგზარალის რეპუტაციას მოიპოვებდეს, ჯერ კიდევ ბევრ ზარვნასა და გორჯას საჭიროებს.

ქვეყნის სხვა კუთხეებთან რაჭის დამაკავშირებელი მეორე გზა, თუ გზაწყვრილებსა და უღრან ტყეებში გამავალ ბილიკებს არად ჩავაგდებთ, ნაქერალას, ანუ სხვანაირად, ხარითვალის გზა გახლდათ. ქუთაისიდან რაჭას მიმავალი კაცი მთელ ოყრიბას ფეხით ან ცხენით გაიარდა, ქედებს შუა მოქცეულ ტყიბულსაც უკან მოტოვებდა და ზაფხულის პაპანაქებაში სიცხეში თუ ზამთრის ქარ-ბუქში ნაქერალას აღმართს შეუდგებოდა.

მესამე და მთავარი გზა რაჭაში ლეჩხუმის მხრიდან შედიოდა. ის ქუთაისიდანვე რიონის ხეობას მისდევდა და, თითქოს შეშინება ფეხი არსად დამისვლოდესო, მდინარეს ანაკადა გადაკვეთდა, რიონის მარჯვენა ნაპირს სულ აღმა-ღმა მიპყვებოდა.

ცაგერის რაიონი, ძველი თაკვერი, ფაზისტატკური მოყვანილობის კლდეებით სახელგანთქმული საირმის თმის ძირას, ღვარდის ხიდთან თავდება და იწყება რაჭა.

მთავარი გზა, რომელმაც ქუთაისიდან რაჭაში მოგიყვანთო, კვლავ რიონის მარჯვენა ნაპირს მიპყვება. ის მხოლოდ ონს ზემოთ, საგლოლოსთან გადაკვეთს უზარმაზარ ლოდებში ჩახლეწილ მთის მდინარეს და მამისონის უღელტეხილის ფიქვისა და ნაძვის ტყით დაფარულ სამხრეთ კალთას შეუდგება.

ამ გზით ამჟამად თითას ეზიდებიან ღრუბლებს ზემოთ ატყორცნილი ალპური სათიბებიდან, სადაც სექტემბრის დამდეგს უკვე ახალი თოვლი დგება, დროდადრო სახიფათო თავგადასავლების მაძიებელი ტურისტთა დიდრონდიდრონი გუნდები გადმოდიან, ადრე კი, გასული საუკუნეებში, მამისონის უღელტეხილი ერთ-მორშუნე რუსეთთან დამაკავშირებელი საიმედო კარი იყო. ამ გზით მიემგზავრებოდნენ ჭოლეთს დახმარების მაძიებელი ქართველი მეფეები და მათი ელჩები, ამ გზითვე ელოდნენ სანატრელი დახმარების მოსვლას, ამ გზაზევე დაიარებოდნენ ვაჭართა ქარავნები და ქედის ორივე მხარეს გასასაღებელი საქონელი გადაჰქონდათ.

ღვარდის ხიდიდან მოკიდებული ხეობა ერთბაშად ფართოვდება და სულ მალე ლურჯი ქედებით შემოსაზღვრულ ვეებერთელა დაბლობად იქცევა. უთუოდ ამ დაბლობის გამო წამოსცდათ პირველად მოსიელთ, რა ჭა არისო. ვახუშტიც ამასვე ადასტურებს. მარცხნივ ერთმანეთს ებმის ქედის კალთაზე შეფენილი სოფლები: ჭყვიშა, ჭრეშალო, ტოლა, ხვანჭკარა, ჩორჯო, ბოსტანა...

ქართველი მევენახის გონიერ მარჯვენას სწორედ ამ ფერდობებზე ვაშენებულ ხელოსდადგა ზვავებში მოპყავს უურძნის მაშამაპეული ჯიშები: ალექსანდრეული და მუჯურეთული, რისგანაც მსოფლიოში სახელგანთქმულ ნახევრადტკბილ ღვინოს — ხვანჭკარას ამზადებენ.

სად არ წაიღეს ვაზის ამ ორი ჯიშის ნერგი, სად არ გაახარეს. ნერგმა ფესვი კი გაიდგა ნიადაგში და მტევნიც გამოისხა, მაგრამ მწიფობისთვეში ყურძნის წვენის ბუნებრივმა ბაქრიანობამ ამის ნახევარსაც ვერ მიაღწია, რასაც ამ პაწაწინა მიკრორაიონში, რიონის მარჯვენა ნაპირის ფერდობებზე აღწევს.

არამცთუ სხვაგან, ალექსანდრეულისა და მუჯურეთულის ჯიშმა რიონის მოპირდაპირე, მარცხენა ნაპირზეც არ ივარგა. ბაჯში, ღაღიშში, ბუგეულში თუ საკეცაში, რომელთა ვენახები თითქმის ორასამდე ჩამოდის, ღვინო დიდებული მოჭაყავთ, ამათებური ყურძნის წვენს ამა ვინ დაიწუნებს, მაგრამ მარჯვენა ნაპრის ღვინოს, „უშინდა ხვანჭკარას" მაინც ვერ შეედრება.

ღვეს არაფინ იცის, როდის და ვინ ვამოიყვანა ვაზის ეს უნიკალური ჯიშები, ვინ დაჰკიდა ოქროს საშმისი არესის ჭალაში, ვინ იყო ის სასწაულმოქმედი სელექციონერი, ვისაც ბედმა ასე გაუღიმა და ნატვრა ასწილად აუსრულა!

ყოყმანობდნენ და ამქვე ჭიანურდებოდა, კარგა ძალი ზარალი მოგვივიდა. ეაზი, მოგვხსენებათ, ხანი არ არის, გაზაფხულზე რომ დარგო და იმავე წელიწადს მოსავალი მოგცეს!

— როგორ ფიქრობთ, ელგუჯა, ეგ დროებითი ღონისძიებაა, თუ...

— დროებითი ღონისძიება საქმეს ვერ უშველის! თუ ბლეი არ დარწმუნდა, რომ ხვანჭკარისადმი დამოკიდებულება ერთხელ და სამუდამოდ შეიცვალა, ისე ჯერ კიდევ გუშინ ცხოვრების აუცილებლობით უარყოფილი ჯიშებისაკენ პირს არ იბრუნებს. პირველ ორ წელიწადს მართლაც ბევრი ყოყმანობდა. წელს საქმე დაიძრა. ადვილი ხომ არ არის, ამოძირკვე ახალი გაშენებული მსხმოიარე ვაზი და ისევ ძველს მიუბრუნდი, საქმე თავიდან დაიწყე! ძალიანაც რომ მოგვნდომებია, ნერგიც არ იყო. ნერგის გამოყვანას, სულ ცოტა, ორი-სამი წელიწადი მაინც უნდა. მერე განა ყველა ნამყენი გაიხარებს! თანაც ერთი და ორი ათასი ძირი ხომ არ გვჭირდება!

— მერე სად უნდა იშოვნოთ ამდენი სანერგე ვაზი? — მოიარებით ეკითხე ჩემს თანამგზავრს.

— თავად გამოვიყვანთ! — მან თავი ასწია და თვალებში შემომხედა. — შარშანწინ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით და ხელისშეწყობით, ქუვეშის სანერგე მეურნეობა დავაარსეთ ქვიშარის მინდორზე. 25 ჰექტარია. მალე მივალთ და საკუთარი თვალით ვნახავთ. ამჟამად ნაადგა ვამზადებთ, მომავალ გაზაფხულზე კი ვაზის დანამყენებასაც შეეუდგებით.

— აქ ბარტო ალექსანდრეული და მუჯურეთული იქნება?

— ძირითადად კი. ხვანჭკარის მიკრორაიონში ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს ცარიელი ან სხვა კულტურებით დაკავებული ფართობები, რომლებზედაც მხოლოდ სახვანჭკარე ჯიშები და რაკული თეთრი უნდა გაშენდეს. სხვა ჯიშებსაც გამოვიყვანთ. აქ გამოყვანილი სანერგე ვაზი ჩვენც გვეყოფა და მომიჯნავე ონისა და ცაგერის რაიონებს მოთხოვნილებასაც დაკმაყოფილებს.

— უკ, ეგ როდის იქნება!

— უახლოეს ორ-სამ წელიწადში! — იმედიანად შეეხმაა ბაკურაძეც და შუბლი მოისრესა. უთუოდ არ ეჭაშნიკა, მისი ფიცხელი დაპირების რეალურობაში ეჭვი რომ შემეპარა.

2.

ამდენიმე წუთის შემდეგ სანერგის ჭიშკარსაც მივადექით. აქ უკვე გველოდნენ ჭყვიშის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ჯუმბერ აგლაძე და სოფლსაბჭოს თავმჯდომარე შოთა ხახნელიძე, ჯუმბერი და შოთა ის იყო მოსულიყვნენ. ჭიშკართან ნაჩქარევად შეღებილი ადამისყამიდელი ვილისი თუხთუხებდა.

რაჭის ეს პირველი საბჭოთა მეურნეობა ორი სოფლის — ჭყვიშისა და ქვიშარის კოლეგიურნეობათა ბაზაზე შეიქმნა. ჯუმბერი, ალბათ, ყველაზე ახალგაზრდა ხელმძღვანელია ქვეყნის რაჭის სოფლის თაეკაცთა შორის. უმაღლესი განათლების დიპლომით ხელში მშობლიურ რაიონს რამდენიმე წლის წინათ დაბრუნებია. ცოტა ხანს ინსტრუქტორად უმუშავია პარტიის რაიკომში, მერე აქეთ გადმოუყვანიათ საბჭოთა მეურნეობის დირექტორად. მოშვრნე და საქმის სიყვარულით ანთებული კაცის ხელი სანერგის ირგვლივ შემოვლებულ მავთულწულის ღობესაც კი ეშჩნევა. ხელისგულივით დაცემულ ოცდახუთ-ჰექტარიან მინდორს ორ არათანაბარ ნაკვეთად ბყოფს ადმინისტრაციული შენობისაკენ მიმავალი მოკირწყლული გზა. დიდი ნაკვეთი მთლიანად ვაზს დაეთმობა, პატარაში კი ადგილობრივი ჯიშის ხეხილის ნერგს გამოიყვანენ. ახალთ-ახალ საბჭოთა მეურნეობაში წარმოების მთავარი დარგი, რასაკვირველია, მევენახეობა იქნება, მაგრამ ისევე როგორც მთლიანად რაჭაში, მეცხოველეობასთან ერთად, მის მიწაწყალზე მებაღეობასაც უხსოვარ დროს გაუდგამს ფესვი. ძველი ბაღები, ქუვეშისა და ქვიშარის დუმეებში მრავალი ჰექტარი ნაყოფიერი საგარგული რომ უჭირავთ, დიდი ხანია მიბერდა, მოსავალს უკვე აღარ იძლევა და ახლით უნდა შეიცვალოს.

— ეს რა მწვანე წარგვიგია? — ვკითხე მე დამჰვდურთ, როცა მეურნეობის ადმინისტრაციულ შენობას მივეახლოდით და გზის მარცხენა მხარეს მწკრივად დარგული უთვალავი პაწაწინა მცენარე დავინახე.

— ეაშლისა და მსხლის საძირეები გახლავთ, — მიპასუხა ჯუმბერ აგლაძემ, რომელსაც ჯერ პირიდან კიდევ არ გადასულოდა წეღანდელი ღიმილი. — ერთ-ორ დღეში მყნობას ვიწყებთ. ელგუჯავ გუტყოდათ, ადგილობრივი ჯიშის ვაშლისა და მსხლის ნერგები უნდა გამოვიყვანოთ.

— ეთქმის ადგილობრივი ჯიშები აჯობებს საქართველოში გავრცელებულ სხვა ჯიშებს?

— ადგილობრივი ჯიში დიდი ხანია შეგეუბღალა ადგილობრივ პირობებს. დღეს ამ ჯიშებს იშვიათად შეხვდება კაცი, ისიც მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთებში. გლეხმა ცოუნებას გაუძლო და მამა-პაპის ნავალ გზას არ გადაუხვია. სამაგიეროდ, საკოლეგიურნეო ბაღებში ერთთავად სხვა რაიონებიდან შემოტანილი სტანდარტული ნერგები გავაბატონეთ. ბევრმა გაიხარა, გაიზარდა კიდეც, მაგრამ მოსავალს არ იძლევა. თუ იძლევა, ძალიან უმნიშვნელოს, ჩიტი ბდღვნად არ ღიჩს... ამჟამად რაიონში 502 ჰექტარი ბაღი გვაქვს. აქედან ნაყოფს მხოლოდ 240 ჰექტარზე გაშენებული ხეხილი იძლევა. ნუ დაგიეწყდებათ, რომ შარშან კიდევ მეტი გვქონდა — 821 ჰექტარი!

— მერე რა უყავით?

— გაცნობეთ ჩვენი გაჭირვება, სადაც ჯერ არს და ჩამოვწერეთ, როგორც ამორტიზებული. ისე ბაღს ვინ აგაჩენინებს, თუნდაც მოუსვლიანს, კისერზე გვაწერია.

— მაშ, მე ისე გავიგე, რომ რაიონის მეხილეობის ხსნად ვაშლისა და მსხლის ადგილობრივი ჯიშების აღდგენა მიგაჩნიათ?

— მოგვაჩნია კი არა, ეს თვით ბუნებამ გვიკარნახა. რაჭა ოდესღაც უზღვავი ხილის ქვეყანა იყო, აქაური კიტრა-ვაშლი, სისხლივით წითელი ჭერემი ან თეთრი ამალაური გემოთი, გამძლეობითა და მოსავლიანობით საქართველოს არცერთ სხვა კუთხეში გავრცელებულ ვაშლს არ ჩამოუვარდება. ახლა ჩვენებური ბაღის ვაშლი? — ჯუმბერს თვალები გაუბრწყინდა. — გინახავთ? ქვიხისოდენა იზრდება, ტოტი ძლივს იკავებს. მსხალი? შავსხალა, მიგარა, რაკული ხემეპეური, ძველი გულაბი...

სოფელში ასასვლელად იმ ძველისძველ კოლისში ჩავსხედით. დირექტორი საკუს მიუჯდა და დიდხანს იწვალა, სანამ თავისთავად ჩამქრალ მოტორს ხმას ამოიღებინებდა. მანქანაში ბენზინისა და დამწვარი ზეთის სუნი დადგა. ნელა, ზოზინით დაგიძირთო, თითქოს ერთმანეთს შემოსწყრენწო, ხმას აღარავინ იღებდა და გუდერნომოგებულ გზას გაჰყურებდა. მალე უზარმაზარი კაკლებით დაჩრდილულ სოფლის შუაში შევუხვიეთ და მშვიდობიანად მორუარეკე ქობმები დავაფრთხეთ.

— ეს ქვიშარია, — ამოიხსნა სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ. — ჭყვიშა ქვიშაზს ზემოთ ებმის.

— სულ ასე ალმა უნდა ვიაროთ?

— სულ. ნამეტანი ფერდობზე გცხოვრობთ. ქუდი რომ სადმე დაგვარდეს, დაგიგორდება, ვეღარ დაეწევი.

— ეს რა ბევრი კაკალია, ამდენი კაკლის ხე ჯერ არსად მინახავს!

სამივე მასპინძელმა, მათ შორის ჯუმბერ აგლაძემაც, რომელიც საკუს ახალგზდას გაფაციცებით ჩაჰფრენოდა და წამდაუწუმ სიჩქარეებს ცვლიდა, თითქოს პირველად დაეხახოო, ვეეხა ხეებს აჰხედეს და სამივეს მაგიერ ელგუჯა ბაკურაძემ თქვა:

— აი, ეს არის ხე! არავითარ განსაკუთრებულ მოვლას არ მოეთხოვს, სიპ ქვას ზვენს აფენს, ალდე-ღრეში თავისით იზრდება. ჩემთვის რომ ვინმეს ეკითხა, ათობით და ასობით ჰექტარ კაკლის ბაღებს გავაშენებდი. რამდენი მომცდარი, ღვთისა და კაცისაგან მტერგებული, დასამუშავებლად მიუვალი ადგილი გვაქვს. დარგე იქ კაკალი. სარჩოს გთხოვს, თუ ნაცარი და ჭრაქი გაგიფუჭებს! თხმელას და ტირიფს აღარ ჯობია?

— მოდი და ნუ დაეთანხმებოდი! — რაჭა არც დღეს — უჩიეს კაკლის ნაკლებობას, თუმცა ეს ნიგვზის საბაზრო ფასს დიდად არ ემჩნევა. წყეროებთან, გზებზე, ხშირად შეაგიდ ყანებშიაც კაკლის ვეებრა ხეები დგანან და დინჯად შრიალებენ. ოდესღაც, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წინ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის რაჭა-ლეჩხუმშიაც, კაკლის ტყეები გვქონდა. საზღვარგარეთ დიდი მოთხოვნილება იყო კაკლის უძვირფასესეს მერქნზე, რომელსაც ავეჯის და ფუფუნების საგნების დასამზადებლად იყენებდნენ და დღესაც იყენებენ. ეს იყნოსეს გადამთიელმა თუ აგლოლობრივმა საქმოსნებმა და კაკლის ტყეებს კალიასავით შეესივნენ. რამდენიმე წლის განმავლობაში ფოთის ნავსადგურში ჩამომდგარი ასობით ვემი ქართული კაკლის, ბზის, წაბლის, თელისა და ცაცხვის მორებით იტვირთებოდა.

ჩვენდა სამწუხაროდ, კაკლის კულტურას საქართველოში სამრეწველო მნიშვნელობა არასოდეს ჰქონია. მას მხოლოდ ოჯახური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, საჩრდილობლად და ეზოს დასამშვენებლად რგავდნენ კერძო პირები, ანდა უადგილო ადგილას ხელუკუღმა გადაგდებული ლენინი წალმა ამოდიოდა. ელგუჯა ბაკურაძის თქმისა არ იყოს, ეგონებ მართლა დადგა დრო, სეროზულად ჩავუფიქრდეთ კაკლის ბაღებს, თუნდაც ტყეების ხელახლა მოშენების საკითხს. ეს მით უფრო საშური და აუცილებელია, რომ საკოლეგიურნეო ბაზარზე კაკლის ფასი წლითიწლობით იზრდება და ზედმეტ ბარგად აწევება თვითეული მოქალაქის საოჯახო ბიუჯეტს. გარდა ამისა, ავეჯის ფაბრიკები დღეს საკუთარი გვაქვს, ერთგულ ავეჯსაც ვუშვებთ...

3.

ჯუმბერ აგლაძემ მანქანა ჭყვიშის სოფლსაბჭოს ფიცრული შენობის წინ გაიზარა

ქრეზის ჭალა

გაგრძელება

ბა ერთობ გაძნელდება. აქ რომელ ტრაქტორს ამუშავებ! არა და, ხელით შრომა, ალბათ, ძვირი ჯდება. იმაში აღებული საფასური გაწეულ შრომასაც ვერ ანაზღაურებს.

ჯუმბერი დაფიქრდა.

— ჩვენი პირველი და უმთავრესი გასაჭირი ის არის, რომ თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს, უპირველეს ყოვლისა, მექანიზებაში, ჯერ კიდევ ხელით ვასრულებთ. რას იზამ, ადგილობრივი რელიეფის თავისებურება ჯერ-ჯერობით სხვა საშუალებას არ იძლევა. ამბობენ, ბულგარეთში შექმნეს სამთო ტრაქტორებო, ჩვენს საკონსტრუქტორო ბიუროებსაც გარკვეული წარმატება აქვთ, მაგრამ სოფლად არაფერი მოდის, ექსპერიმენტებს და დაპირებებს ბოლო არ უჩანს. ხელით შრომა დიდად ზრდის თვითეული კილოგრამი ყურძნის, ლობიოს თუ ზორბლის თვითღირებულებას და ამცირებს როგორც საერთო შემოსავალს, ისე შრომადღის საფასურს.

— რამდენია შრომადღის საფასური? — შეეკითხენი მე.

— ორი მანეთი და 21 კაპიკი.

— ეგ საშუალოა მთელი რაიონის მასშტაბით, — წაეშველა ამხანაგს ელგუჯა ბაკურაძე, რომელიც შოთა ხახნელიძეს ესაუბრებოდა, მაგრამ თვალი და ყური აქეთ ჰქონდა. — ბევრ კოლმეურნეობაში შრომადღის საფასური კიდევ უფრო დაბალია. ამ საფასურით ელეზმა ოჯახი უნდა არჩინოს. არჩენს ვითომ? ანგარიშის საქმე არ არის? დღეს მიწას ბევრი გაურბის. რაიონიდან წასულების რიცხვი წლითიწლობით იზრდება. წელიწადში, რომ არ მოგატყუო, საშუალოდ ათასი კაცი მიდის და უკან აღარ ბრუნდება. 1957 წელს მარცვლეული კულტურების სათეს ფართობებს რაიონში ექვსი ათას ასი ჰექტარი ეკავა. დღეს იგივე ფართობები ამის ნახევრამდეა შემცირებული. თვითეულ ჰექტარზე მარცვლეულის მოსავლიანობა 10-13 ცენტნერსაც ვერ ამეტებს. მიტოვებულ მიწებზე ეკალბარდა გადაიარა, ან ეროზია სპობს ეკაურობას. რიდის იყო რაჭაში ამდენი წყალდიდობა, ღვარცოფები და მეწყერები? შარშანწინ ლუხუნი მოვარდა და ურავი წამოიღო, უფრო აღრე რიონი გადაიარა და... ტყეებს წინდაუბედავად ესპობთ, ახლის გაშენებაზე ან ძველის მოვლაზე კი არავინ ფიქრობს. გამოულეველი არაფერი არ არის. სადმელოს სატყეო კომბინატი ყოველწლიურ საწარმოო დაგალებებს გადაჭარბებით ასრულებს. რას ნიშნავს ეს? ათასობით ხის წამოქცევის და გუშინდელი ტყის გაუდაბურებას. ხე-ტყით დატვირთული მანქანა მანქანას მისდევს ქუთაისის გზაზე. აქ, სადაც ტყე იჭრება, მასალას წამლად ვერ იშოვნი. ლმიტიო, ესაო, ისაო. რატომ, ბატონო, ვის დასჭირდა ჩვენი დაბმარება? ტყის მეტი რა არის ტალიგაში! წადიდეთ, თუ მაინცდამაინც, ჩვენც ვისარგებლოთ და სხვაც ვასარგებლოთ! ახლა რასაც ვწვავთ? ეს დალოცვილი ნავთი და გაზი ძანის კარ გვქონდეს! გუშინ რაიონის მთავარი ექიმი მეუბნებოდა: მარტო რაიონულ საავადმყოფოს წელიწადში ათასი „ჟუმბეტრი შეშა სჭირდებაო. რომელი ტყე გაუძლებს! ისე ვიქცევით, თითქოს ეს დალოცვილი ტყე მტრისა იყოს და გადაშენებას ეუპირებდეთ. ვიძახით, ყურძენი, ყურძენიო, ხომ? ყურძენის საშუალო მოსავალი ძალიან ჩამორჩება საშუალო რესპუბლიკურ დონეს. 20 კოლმეურნეობიდან თოთხმეტი ეკონომიურად სუბსიდიაზეა. ყველამდე სავსე არიან საბელმწიფოსაგან აღებული გრძელვადიანი სესხით. როდის და რით უნდა ჩაასესხონ? ამ სუსტ კოლმეურნეობებს რაიონის მთელი სათესლი და საეენახე-საბალი ფართობის ოთხი მეხუთედი უკავიათ, ამდენივე ტექნიკა — ტრაქტორები და ავტომანქანები ამათ ხელშია. ამხანაგები დამემოწმებიან: ოცი წლის წინათ ქვეყნ რაჭაში იყო ათას ორასი ჰექტარი ვენახი. გაიარა ოცმა წელიწადმა და რა მოხდა? მატების მაგიერ სულ სხვა სურათი მივიღეთ: ვენახების ფართობმა 660 ჰექტრამდე დაიწია. მოსავალს მარტო 617 ჰექტარი იძლევა. ძალზე დიდი მეჩხერიანობა. ვიანგარიშეთ და ასი ჰექტარი ვენახის ნაკლებობა გამოგვივიდა. არც ტეტი, არც ნაკლები, ზარალი 300 ტონა ყურძენს აღწევს. გადავიყვანოთ ახლა ეს ფულზე, თმა ყალყზე დგებოდა. ორი-სამი წელიწადია, დავიწყეთ გადაწვენა, ვასაწინდრებთ ვენახს, ვებრძვით ამ მეჩხერიანობას, მაგრამ რაც ჩვენივე უყაირათობით და საქმისადმი ზერელე მიდგომით დრე ვიზარალეთ, დღეს საიდანღა მივეწიოთ!

ბევრი რამ წინასწარვე ვიცოდი და ეს არ უნდა გამკვირვებოდა. ელგუჯა ბაკურაძის მიერ მოტანილმა საგანგაშო ცნობებმა მაინც დიდი მთაბეჭდილება მოახდინა. ელგუჯა ბაკურაძეს კარგად ეამოდა და მასთან ერთად ესმოდათ სხვებსაც, რომ უახლოეს განვლილ წლებში ბევრი საქმე, როგორც რაჭაში იტყვიან ხოლმე, დროული კაცები, ხელისძალათი გაფუჭდა, ზოგი რამ დღესაც დღისითა-მზისთ ფუჭდება და ჯერ კიდევ ვერ მოვრეკვიანთ, ვერ გავმკლავებივართ.

ერთი ამ საქმეთაგანი რაჭის რაიონებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უთავბოლო გამოყენება და ამისაგან გამოწვეული დიდი ეკონომიური ზარალი გახლავთ. ორივე რაიონის კოლმეურნეობებს კუთვნილი 114 ტრაქტორი, დღიდან შეძენისა და სოფლებში შემოყვანისა, უმეტესად მომცდარია. მომცდარია იმატომ, რომ არც ერთ კოლმეურნეობას არ გააჩნია იმდენი სახნავ-სათესი მიწა, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მიუდგებოდა და მისთვის დადგენილ წლიურ გეგმას შეასრულებდა. დაამუშავებს, რასაც მიუდგება და შემდეგ დგას მომავალ წლამდე, დგას და ტყუილად იჟანგება.

შარშან ამბროლაურის რაიონის ყველა ტრაქტორმა საშუალოდ 107 ჰექტარი მიწა მოხნა, ონისამ — 68, საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებელი კი 243 ჰექტარია, ხოლო საკავშირო 400 ჰექტარი!

აქედან ყველა საჭირო დასკვნა გამომდინარეობს...

რაიონებს არ გააჩნია ტრაქტორების შემკეთებელი სახელოსნო, კოლმეურნეობებს არავინ ამარაგებს სათადარიგო ნაწილებით. თუ ღმერთი გაწყრა და ტრაქტორი ნაკვეთში გაგიფუჭდა, ის იქვე დარჩება თუნდაც დაზამთრებამდე, უკეთეს ტრაქტორისტი თავს არ გამოიდებს, სადმე შორს არ წავა და ნაღდ ანგარიშზე მამასახლისად ნაყიდ ნაწილს არ მოიტანს. ონის რაიონის 34 ტრაქტორიდან მუშაობს მხოლოდ 24, დანარჩენი ათი, სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო, წლების განმავლობაში უმოქმედოდ დგას.

ეს, რაც ახლა ვთქვი, ახალი ამბავი არ არის, ყველამ იცის, იციან ქვემოთაც და ზემოთაც, საქმე კი მოჯადოებულ წრეში ტრიალებს, ადგილიდან არ იძვრის, არ ხერხდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისადმი მანკიერი მიდგომის უკეთდება და ახალი ფორმების გამომუშავება.

ნუტა რატომ არ ხერხდება? რა გვიძლის ხელს? განა ჩვენს გამგებლობაში არ არის ტექნიკაც და მისი მომგებიანი გამოყენების ფორმების დადგენაც?

იქნება ვინმე ჩამოკიკოძალდეს და იფიქროს, მთაგორიან რაჭას, სადაც, გარდა მთავარი მაგისტრალისა, არც გზებია მაინცდამაინც ხეირიანი და არც ვაკე ველ-მინდვრები მოიპოვება თავზე საყრელად, ამოდენა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა სულაც არ სჭირდებაო. სჭირდება და მერე როგორ! განა ჩვენ ყველა ყამირი გავტეხეთ და ავითვისეთ რიონის ხეობაში? განა ითობთ და ასობით ჰექტარი მიწა, რომელზედაც სწორედ ტექნიკის გამოყენებისათვის ვარგისი ველნაი, ბალი, ყანა და ბოსტანი შეგვეძლო გაგვეშენებინა, თხილის ბუჩქნარს და ეკალბარდს არ უჭირავს?

სოფელ ხურუთის ბოლოდან მოკიდებული ქვემოთ, თვით ქვეშარის მინდვრამდე, მრავალი ათეული ჰექტარი მიწა ბაბაძეხარის დაუსაკუთრებია. ეს „არავის მიწა“ რამდენჯერმე აღემატება ახლომახლო კოლმეურნეობების ვენახებსა და სახნავ-სათეს ფართობებს. განა ცოტა ჭირნახლეს მრავიყანდით, თუ ტექნიკას მომჭირნედ, საქმის ცოდნით გამოვიყენებდით და წლობით მომცდარ მიწებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად ვიქცევდით!

კიდევ მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჟამთა სიავის გამო სანანევროდ რიონის რიყედ და სანანევროდ ბუჩქნარად ქცეულ ჭიორის მინდორს, საგლოლოსთან რომ იწყება და სოფელ ღებამდე აღწევს. მინდვრის საერთო ფართობი ხუთას ჰექტარზე მეტია. სწორედ მისწრება არ იქნებოდა მომცდარი ტექნიკის გამოსაყენებლად?

მთავარ დაბრკოლებას, ამ მიწების გაკულტურების და ათვისების წინ რომ ეღობება, რიონი ქმნის. ის აქ თითქმის ყოველ წელიწადს იცვლის კალაპოტს, მიაქვს ნიადაგი, ხრამავს და მეწყრავს ნაპირებს. მთის ჭირვეული მდინარის ხელოვნურ კალაპოტში მოამწყვდევა, რაც რაიონის ფინანსიურ და ტექნიკურ შესაძლებლობებს შორს სცილდება და მეღიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სერიოზულ ჩარევას მოითხოვს, თქმა არ უნდა, საგრძნობ პირველად ხარჯთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სარგებლიანობას, რასაც ხვალ და ზეგ ჭიორის მინდვრის გაკულტურება და სავარგულებად გადაქცევა მოგვცემს, გაწეული ხარჯები იქნებ იოტისოდენადაც აღარ მოგვეჩვენოს.

ამას რომ ვამბობ, უნებლიეთ დაცემულ ელზე გამოლილი პატარა ლიახვის უკიდეგანო კალაპოტი მაგონდება. ამ კალაპოტში ხომ ზღვასავით წყალუხვი ენისეიც მოთავსდებოდა. მაშ, რატომ ვექცევთ ასე ხელგაშლილად პატარა ლიახვს და ბევრ სხვა მდინარეს, ლიხს აქეთ და იქით ნოყიერი დაბლობების დიდძალი ფართობები რომ უჭირავთ, რად არ ვათავსებთ რკინა-ბეტონის არტახებში და წყლის თვითნებობისაგან გამოთავისუფლებულ ათასობით ჰექტარ მიწას სავარგულებად არ ვიყენებთ?

— ხედავთ რაიმე გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან? — ეკითხე ჯუმბერ აგლაძეს, როდესაც კვლავ მანქანაში ჩავსხედით და სოფლის ვიწრო შუკას ჯაყჯაყით დავუყვეთ.

ჯუმბერს სახე გაუნათდა.

— არამცოუ ვხედავთ, საკუთარი მოსაზრებებითაც წარვდექით, სადაც ჯერ არს. ჩვენ ვთვლით, რომ მიზანშეწონილი იქნება, თუ კოლმეურნეობების კუთვნილ ყველა ტრაქტორს თავს მოვუყრით და სოფლტექნიკის რაიონულ განყოფილებასთან შექმნით მექანიზებულ რაზმს. ეს რაზმი საჭირეების და შეძლების მიხედვით, წინასწარი დაკვეთის საფუძველზე, მომსახურეობას გაუწევს რაიონის ყველა კოლმეურნეობას, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისაგან თავისუფალ დროს სხვა დანიშნულების სამუშაოსაც შეასრულებს. ამგვარი სამუშაოები რაიონში ბევრია. მექანიზებული რაზმის შექმნა საშუალებას მოგვცემდა თავიდან აგვეცილებინა ტექნიკის მოცდენით გამოწვეული უზარო ხარჯები და, ამავე დროს ამავე ტექნიკას წლის ყოველ დროს დანიშნულების მიხედვით გამოვიყენებდით.

— ეს, თუ არ ვცდები, ჩვენში რამდენიმე წლის წინათ გაუქმებულ მანქანა-ტრაქტორების სადგურს ემგვანება.

— მთავარი სახელწოდება არ არის. რაც უნდა, ის ეოქვას, ოღონდ საქმე კი გაკეთდეს. ჩვენ ასევე აუცილებლად მიგვაჩნია კოლმეურნეობების კუთვნილი სატვირთო ავტომანქანების ერთად თავმოყრა და საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზის ჩამოყალიბება. მექანიზებული რაზმიც და ავტობაზაც, რასაკვირველია, სამეურნეო ანგარიშზე იმუშავებენ და სარჩენად თავზე არავის დაადგებიან. ძომსახურე პერსონალი ტყავს გაიძრობს და მანქანებს გამართულ მდგომარეობაში იყოლიებს. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისაგან თავისუფალ დღეებში მათ საშუალება მიეცემათ, სხვა ხასიათის ტვირთზიდვაც შესასრულონ და წუთი რაა, წუთიც არ დაკარგონ.

— რა ისმის, როგორ შეხვდნენ თქვენს წინადადებას?

— ეს წინადადება მარტო ჩვენ არ წამოგვიყენებია. სხვა რაიონებიც ამ აზრზე დგანან. დღეს თუ არა ხვალ საკითხი საქმის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს! — რწმენით წარმოთქვა ჯუმბერმა და ეიბლზე წერწერით ჩამომავალი ოფლი მოიწმინდა. — ისე, ბექმნილი სიძნელეების დაძლევის ერთადერთი სწორი გზა მეურნეობის სპეციალიზაციაა. თუ ადგილობრივ პირობებს მეცნიერული სიღრმით გავითვალისწინებთ და მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებას სწორად დაეგეგმავთ, ბევრი სიძნელე თავისთავად მოიხსნება.

— კერძოდ?

— მაგალითად, უმთავრესი ზარალი, ჩვენს კოლმეურნეობებს, უწინარეს ყოვლისა, მევენახეობის კოლმეურნეობებს ყოველ წელიწადს რომ მოსდის, მეცხოველეობის არარენტაბელობით გამოწვეული ზარალია. გარდა იმისა, რომ არ გვყოფნის მუშახელი, ძალი გვიჯდება საკვების მოპოვება, პირუტყვის გამოზამთრება, მექანიზაციის უქონლობა ძნელებს და ძვირებს პირუტყვის მოვლა-პატრონობას. ორი კვრდღლის მაღვავრ ხელმოცარული მონადირეს ვგავართ. ორ კურდღელს კიდევ ვინ ჩიგის, ჩვენ მეტს მივდევთ...

— მაშ, რა ვქნათ, ხელი ავიღოთ მეცხოველეობაზე?

— არა, რატომ, მე მხოლოდ ამას ამბობ მინდა, რომ შეუძლებელია ყველაფერი ერთად, ერთ მეურნეობაში გავაკეთოთ. აი, მაგალითად, მევენახეობა. იმისათვის, რომ ავაღორძინოთ ეაზის საუკეთესო ჯიშები და გავეზარდოთ ყურძნის მოსავალი, უნდა გამოვთავისუფლოთ მეურნეობის სხვა დარგებში, თუნდაც წამგებიან მეცხოველეობაში დაკავებული მუშახელი და მოლიანად გამოვიყენოთ მხოლოდ მევენახეობაში. მრავალდარგოვანი მეურნეობა, რომელსაც სამუდამოდ დადგენილი სტანდარტის მიხედვით რაჭაში და რესპუბლიკის სხვა მთაგორიან რაიონებში მივდევთ, ჩემი ღრმა რწმენით, დიდი ხნის წინათ გადავარდნილი ნატურალური მეურნეობის ნაშთია. ხომ იყო დრო, როდესაც ხელისდადება მიწაზე ვლეს ცხოვრებისათვის საჭირო ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურა უნდა მოეყვანა. გამონაკლისი არც რაჭველი გლეხი გახლდათ. სასაქონლო პროდუქტს გაცვლითი ღირებულებაც ჰქონდა და იგი ბაზარზე ფულს მაგივრობას ეწეოდა.

ეს დრო დიდი ხანია წარსულს ჩავბარეთ. შრომის ახალეურმა განაწილებამ, რომელშიც არა მარტო ცალკეული მეურნეობები, არამედ ხალხები და სახელმწიფოებიც კი ჩაებნენ, ჩემგან არ გესწავლებათ, ცხოვრების წინაშე ახალი ამოცანები დააყენა, არარენტაბელური, ჩვენი პირობებისათვის საესებით შეუფერებელი მრავალდარგოვანი მეურნეობა კი დღემდე შემოგვრჩა და აუნაზღაურებელ ზარალს გვაყენებს. როდემდე შეიძლება გულხელდაკრეფილი ვისხდეთ? რაიონს ამ მხრივ თავისი გეგმები აქვს. გადავწყვეტეთ, შეკმნათ მეცხოველეობის ორი კომპლექსი საკვები ბაზების ახლო მდებარე ორ კოლმეურნეობის — სხვავისა და ნიკორწმინდის ტერიტორიაზე. რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში თანხმობას მივაღწიეთ, ახლა დაფინანსებას ველოდ და წელს თუ არა, გაისად მაინც საქმეს შეუდგებით.

თითქოს იქიატა, ღრუბლებიდან მზემ გამოიხედა.

— რას მოელიან ამ კომპლექსებისაგან? — ეკითხე ჯუმბერს.

— უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ბარის მევენახე კოლმეურნეობებს მთლიანად განეტვირთავთ მათთვის უაღრესად წამგებიანი მეცხოველეობისაგან, ხოლო მთელი რაიონის მეცხოველეობას იმ ადგილას დავაჯგუფებთ, სადაც პირუტყვის მოვლა-პატრონობა სპეციალიზებული იქნება, ერთიორად იაფი დაგვიჯდება და მხოლოდ მოგებას მოგვცემს!

— მერე მალე მოხდება ეგ?

ელგუჯა ბაკურაძე სკეპტიკურად შეიმშუშნა, ჯუმბერ აგლაძეს თვალი მოარიდა და თავი მხრებში ჩარგო.

— გაიჩნია, ვის ხელში იქნება საქმე, როგორ მოვამარაგებთ საშენი მასალებით, პირველ რიგში, რასაკვირველია, პირუტყვის სადგომების ტიპიური პროექტებით, გზით, ტექნიკით, მუსიალით...

დასასრული შემდეგ ნომერში.

მსოფლიოს ჩემპიონატი ჰავანაში

სურათზე: მსოფლიოს პირველობა ჰავანაში. ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას პირველი პარტია.

ფ. კრიმსკისა და ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჭადრაკის დაფებთან

სამი ლიდერი

ფრანგეთში სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატზე გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. სწრაფად დასრულდა ყაიმით ჩიბურდანიძისა და ზატულოვსკაიას მეორედ გადადებული პარტია. ჩიბურდანიძეს კიდევ ერთი პარტია ჰქონდა დაუთამაშებელი ტიტორენკოსთან. უკანასკნელმა ზუსტად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა და დაამარცხა ქართველი მოჭადრაკე. მძიმე პოზიცია ჰქონდა გურიელსაც, რომელიც ავრეთვე დანებდა ფომინას. კრისტოლმა მოუგო ბელოვას, ახმილოვსკაიამ — ლიტინსკაიას, კოზლოვსკაიამ — შჩერბინას. ყაიმით დამთავრდა ლიტინსკაია-ბელავენეცის, კოზლოვსკაია-ფატალიბეკოვას გადადებული პარტიები.

ტურნირს ახლა სათავეში უდგანან ახმილოვსკაია და ფომინა — შეიდ-შვიდი ქულა თერთმეტიდან. ამდენივე ქულა აქვს საუნინას, მაგრამ 12 პარტიის შემდეგ. ჩიბურდანიძემ 5,5 ქულა (12) მოაგროვა.

მეექვსე ტურში...

მოსკოვში აღიარებინის ხსოვნის ტურნირზე გათამაშდა ექვსი ტური. გელერმა მოუგო სპასკის, პეტროსიანმა — ინგლისელ სტინს, ტალმა — ჰოლანდიელ ბეს, კორჩნოიმ — უნგრელ ფორინტშს, ფაჰანიანმა — ლენდიელს (უნგრეთი).

ექვსი ტურის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობენ ფაჰანიანი და გელერი — 4,5 ქულა თვითეულს.

ფეხბურთის ამბები

გუშინ სტადიონებზე

ევროპის 3 თასის გათამაშების მატჩები გაიმართა გუშინ კონტინენტის სტადიონებზე.

კიევის „დინამო“ ჩემპიონთა თასის გათამაშებაში შეხვდა ინლანდიის „აკრანესს“. მატჩი კიეველთა დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა, რომლებმაც გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0 (2:0). ბურთები გაიტანეს ბურიაკმა (2) და ონიშჩენკომ.

„არარატი“ თასების მფლობელთა თასზე ეასპარეზებოდა ინგლისის „ვესტ ჰემ იუნაიტედს“. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1 (0:0). გოლები გაიტანეს ტეილორმა და ს. პეტროსიანმა.

მოსკოვის „სპარტაკისა“ და გფრ-ის „კიოლნის“ მატჩი უეფა-ს თასზე მოიგეს სპარტაკელებმა — 2:0 (1:0). წრამტებას ორიგეჯერ ლოვჩევმა მიაღწია.

მეორეზე საბჭოთა გუნდი — მოსკოვის „ტორპედო“ ამ დღეს ასევე უეფა-ს თასზე თამაშობდა სტამბოლში „გალათასარაისთან“. პირველ ტაიმში ტორპედოელებმა ორჯერ აიღეს მასპინძელთა კარი (კრიშინი, მაქსიმენკოვი), [illegible] თამაში გვიან ღამით დასრულდა.

ფინიშის წყრიტა

დასასრულს უახლოვდება „ა“ კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატი. როგორ დამთავრდა მორიგი, 36-ე ტური? ჩვენ უკვე ვიუწყებოდით სამი მატჩის შესახებ ლიდერთა მონაწილეობით. მოგვყავს დანარჩენი შედეგებიც: „სპარტაკი“ ი.-ფ.-„ნისტრუ“ — 2:1; „მეტალისტი“-„ტავრია“ — 2:0; „მეტალურგი“-„კაირატი“ — 1:1; „მინაკი“-„ნეფტჩი“ — 0:0; „ჩეზდა“-„სპარტაკი“ ორჯ. — 3:2; „რუბინი“-„სპარტაკი“ ნალჩ. — 1:1; „კუზბასი“-„ყუბანი“ — 2:0.

ვენის ტატამზე

ლონდონ ავსტრიის დედაქალაქში იწყება მსოფლიოს ჩემპიონატი ძიუ-დოში, რომელშიც იაპონის, პოლანდიის, საფრანგეთის, პოლონეთის, გდრ-ის, დიდი ბრიტანეთის, მონგოლეთის და სხვა გუნდებთან ერთად გამოდიან საბჭოთა მოჭიდაველებიც.

ჩვენს გუნდში 12 ფალავანია, აქედან ექვსი — საქართველოდან: ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი შოთა ჩოჩიშვილი, ევროპის ჩემპიონები გივი ონაშვილი და ჯიბლაო ნიკარაძე (სამივე — მძიმე წონა), ევროპის ექს-ჩემპიონი შენგელი ფიცხელაური (63 კგ), კონტინენტის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები აბდულ ბარკალაეი (80 კგ) და რამაზ ხარშილაძე (93 კგ).

საკვანძო ნაკრები, გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბ. ბაზიაშვილი.

„სპორტლოტო“

„სპორტლოტო“: 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 25 (თხილამურები — ტრამპლინიდან ხტომა), 8 (კრივი), 7 (ბიატლონი), 23 (ძძლეოსნობა), 16 (ტანვარჯიში).

„სპორტლოტო-2“: 45 (ფეხბურთი), 1 (ავიასპორტი), 43 (ფარიკაობა), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 44 (ფიგურული სრიალი), 49 (ბაზი). (საკდესი).

მოკლედ

ᲛᲣᲨᲘᲚᲘᲡᲝᲑᲐ. ლენინგრადში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება. საპატიო პრიზი მოიპოვა „დინამომ“ გუნდმა ქალ[illegible] ... ბურ[illegible] ... ბალის ზებინ[illegible] ... (დუმბენე), ხოლ[illegible] ... ტალი. ... ეკონ[illegible] ... ბალ[illegible] ... ბალ[illegible] ... ბალ